# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუ-ილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 4 აპრილი. 2024 წ. №40 (9720) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## მაინც, რას მალავთ, „ევროპელებო“?!

# ომი არ არის მშვიდობა!

**ირაკლი კობახიძე:**

## უკიდურესად არაევროპულია, როცა გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტს გაურბიხარ, ასეთ დროს აშკარაა, რომ რაღაცას აფუჭებ და გაქვს დასამალი



**ჩემთვის სწორედ გამჭვირვალობა ნიშნავს ევროპულობას, გაუმჭვირვალობა კი არაევროპულობას. უკიდურესად არაევროპულია, როდესაც გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტს გაურბიხარ და წლიური ფინანსური დეკლარაციის გამოქვეყნებაც კი არ გსურს,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა.

* * *

კობახიძის განცხადებით, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება არის საუკეთესო გზა მანკიერებისა და შეცდომების თავიდან ასარიდებლად.

„პრემიერ-მინისტრის პოზიციაზე ჩემი ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება სწორედ საქართველოს მთავრობის საქმიანობის სრულ გამჭვირვალობას უკავშირდებოდა. გადავდგით პრინციპული ნაბიჯი და პირველივე დღიდან, საქართველოს მთავრობის ყველა გადაწყვეტილებას მყისიერად ვასაჯაროებთ. გარდა ამისა, ვთხოვე ყველა მინისტრს და სამთავრობო უწყებას, უპასუხოდ არ დატოვონ მოქალაქეების არცერთი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ. სრულად გამჭვირვალეა ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ და გასაკვირი არაა, რომ საქართველომ „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ მსოფლიოს ქვეყნებს შორის პირველი ადგილი დაიკავა. როდესაც მართალი ხარ და არაფრის გაფუჭება არ გაქვს განზრახული, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება არის საუკეთესო გზა მანკიერებისა და შეცდომების თავიდან ასარიდებლად. ჩემთვის სწორედ გამჭვირვალობა ნიშნავს ევროპულობას, გაუმჭვირვალობა კი – არაევროპულობას. უკიდურესად არაევროპულია, როდესაც გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტს გაურბიხარ და წლიური ფინანსური დეკლარაციის გამოქვეყნებაც კი არ გსურს. ასეთ დროს აშკარაა, რომ რაღაცას აფუჭებ და ეს რაღაც გაქვს დასამალი...

* * *

**დარწმუნებული ვარ,** ახალი კანონი დონორებს ეფექტურად დააზღვევს მთელი რიგი უხერხულობებისგან, რაც მათ მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შესაბამისი მედიასაშუალებების მხრიდან საქართველოში რადიკალიზმისა და პოლარიზაციის გაღვივებასთან, რევოლუციური პროცესების მხარდაჭერასთან, საარჩევნო ხმების პარალელური დათვლის გაყალბებასთან, ომის პროპაგანდასთან, ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გავრცელებასთან, საქართველოს ეროვნული და რელიგიური იდენტობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებთან და დეზინფორმაციის ხარჯზე სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტების მცდელობასთან არის დაკავშირებული. ზემოაღნიშნული ქმედებების გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ სოციოლოგიური კვლევების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციები სარგებლობენ ყველაზე მცირე ნდობით სახელმწიფო და სოციალურ ინსტიტუტებს შორის საქართველოში. მხედველობაშია მისაღები, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შესაბამისი მედიასაშუალებების ზემოაღნიშნული ქმედებები მათი დონორების რეპუტაციაზეც უარყოფითად აისახება. მჯერა, რომ კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ამ მანკიერების დაძლევაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. არაევროპული ძალები, რომლებიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის არმიღებას ლობირებდნენ, ცდილობენ, თავს მოგვახვიონ ორუელისეული აბსურდი, რომ ომი არის მშვიდობა, შენება არის ნგრევა, წინსვლა არის უკუსვლა, ხოლო გაუმჭვირვალობა არის ევროპა. როდესაც ქართველ საზოგადოებას ცხოველების ფერმად განიხილავ და მისთვის ამ მასშტაბის სიცრუის მიყიდვას ცდილობ, აღარ უნდა გიკვირდეს, რომ იმ მწირ ნდობასაც კარგავ, რაც მანამდე გქონდა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩემთვის ევროპა ნიშნავს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე. საქართველოს მთავრობამ უკვე დაამკვიდრა გამჭვირვალობის ევროპული სტანდარტი. ახლა კი დროა, არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი დონორებიც გაევროპულდნენ, რაშიც მათ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი უსათუოდ მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს...

---

**ერის და ქვეყნის მოღალატენი**

## ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო!

**„ის პრობლემები, რაც დღეს სასამართლოშია, უმნიშვნელოდ მოგვეჩვენება, თუ კონტროლს ის არასამთავრობოები, ნამდვილი მოსყიდული აგენტები აიღებენ, რომლებიც პირდაპირ შეკვეთებს ასრულებენ“**

4



---

**წინ – წინაპრებისკენ**



6

„გაზაფხულის ქეთევანობა“ მუხრანში

## „ივერიის მნათობმა“ დედოფალმა გაგვინათოს გონება, მოგვმადლოს ერთსულოვნება!

---

**ჩვენი მთავარი ბუნებრივი რესურსი**



5

**გივი გავარდაშვილი:**

## „წყალი – მშვიდობისთვის“, „წყალი – სიცოცხლისთვის

## დღის ციტატები

### სალომე ზურაბიშვილი:



...მივმართავ საზოგადოებას, მაგრამ ამავე დროს, მინდა მივმართო „ოცნებას“ და „ოცნების“ წარმომადგენლებს. გილოცავთ, ბატონებო, რამეთუ ქალები თქვენთან აღარ ითვლება, ან თუ ითვლება, ისე მოიხსენიებთ, რომ ჯობია არ მოიხსენიოთ, დაკარგეთ ელემენტარული ქართული ზრდილობა, რაც ძალიან სამწუხაროა თქვენთვის...

### კახა კალაძე:



სამარცხვინოა, რომ კონკრეტული კრიმინალი ზურაბ ადეიშვილი დადის ევროპის სხვადასხვა ინსტიტუციაში. ეს არის უმძიმესი თემა, რადგან ის არის ადამიანი, რომელსაც უმძიმესი დანაშაული აქვს ჩადენილი კანონისა და ხალხის წინაშე. ევროპა ერთგვარ თავშესაფრად იქცა კრიმინალებისთვის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი ქვეყანა და ხალხი იმსახურებს პატივისცემას!

* * *

...სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არანაირი კავშირი რუსულ კანონთან გამჭვირვალობის კანონს არ აქვს. ეს არის ტყუილი, სპეკულაცია. საუბარია ორგანიზაციებზე, ტელევიზიებზე, რომ მათი უცხოეთიდან მიღებული გრანტები, დაფინანსებები წარადგინონ დეკლარაციაში და ყველასთვის გახდეს ხელმისაწვდომი. ეს არის ევროპული კანონი, ისეთივე კანონია, როგორიცაა ამერიკაში, ბრიტანეთში, ავსტრალიაში, იგივე დააინიცირა ევროკავშირმა. ხომ გვინდა ევროპა, მხარს ვუჭერთ გამჭვირვალობას, მაშინ, რატომ არ გვინდა, მივიღოთ კანონი, რომელიც მეტ გამჭვირვალობას მოიტანს?

### ნიკა გვარამია:



...დღეს „ქართული ოცნება“ აღარ არის მხოლოდ ქართული დემოკრატიისთვის საფრთხისშემცველი. ის არის ქართული სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხის შემცველი ძალა. ის ელობება ჩვენს ისტორიულ მიზანს, რომელიც ქართველმა ხალხმა არაერთჯერ გამოხატა როგორც მისი ისტორიული განვითარების მანძილზე, ასევე დღეის მდგომარეობითაც. ეს არის ჩვენი ევროკავშირში წევრობა.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი პარტია, ახალი, გააკეთებს ყველაფერს, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი. ეს არის ჩვენი შექმნის მთავარი საფუძველი. ის, რომ ქართველი ხალხი შევიყვანოთ მის ისტორიულ ოჯახში – ევროკავშირში.

დაჩქარებული წესით ეს კანონპროექტი არ მიიღებაო, გვითხრეს დღეს უმრავლესობის წევრებმა. ეს არის ხაფანგი მეგობრებო. კანონი არ მიიღება დაჩქარებული წესით მხოლოდ იმის გამო, რომ ივნისში იგეგმება მისი მიღება ევროპის ჩემპიონატის განმავლობაში, რომ არ იყოს პროტესტი და ხალხს არ ეცალოს პროტესტის გამოსახატავად. მინდა მივმართო დასავლელ პარტნიორებს, ნუ ენდობით „ქართულ ოცნებას“. „ქართული ოცნების“ სიტყვას აქვს ჩალის ფასი, იმიტომ, რომ ოლიგარქია და ტირანია იხევს მხოლოდ დროებით და იგი არ გვაძლევს თავისუფლებას.



### რომან გოცირიძე:

ძუჩაში გამოსვლის დროა! ამ პოსტით ეხმაურება საპარლამენტო ჯგუფის „ევროოპტიმისტების“ ლიდერი რომან გოცირიძე მმართველი უმრავლესობის გადაწყვეტილებას, განსახილველად დაბრუნდეს ე.წ. უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტი.



## საქართველოს პარლამენტში სხდომა დაპირისპირებით დაიწყო

**საქართველოს პარლამენტში გუშინდელი სხდომა დეპუტატებს შორის დაპირისპირებით დაიწყო.**

პარლამენტის სესიაზე „მოქალაქეების“ წევრი ალეკო ელისაშვილი სიტყვით გამოვიდა და „ქართული ოცნების“ მიერ დღეს გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, „ქართული ოცნება“ საკანონმდებლო ინიციატივას წარადგენს.

**„იმ კანონის უკან შემოტრიალება ყველას შეურაცხყოფაა. ის კანონი არის რუსული“,** – აღნიშნა ელისაშვილმა. ელისაშვილის ამ განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან პროტესტი მოჰყვა, რაც დაპირისპირებაში გადაიზარდა. პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატებს მოუწოდა, არ გამოიყენონ ტერმინი – „რუსული კანონი“.

**„ეს არის ანტიქართული პროპაგანდა, რომელსაც ახლა ეწევით. ანტიქართულ პროპაგანდას და ამ ძახილის უფლებას არ მოგცემთ. ყველას გავუთიშავ მიკროფონს, ვინც ტერმინ „რუსულ კანონს“ გამოიყენებს ისევ. ანტიქართულ პროპაგანდას დაანებეთ თავი. ქართველ ხალხს ნუ ატყუებთ. გაგივიდათ შარშან, წელს არ გამოგივათ“,** – განაცხადა პაპუაშვილმა. შალვა პაპუაშვილმა ალეკო ელისაშვილი დარბაზიდან გააძევა.

## შალვა პაპუაშვილი: ქალბატონო ხატია, არანაირ რუსულ კანონს საქართველოს პარლამენტი არ იღებს, არც არასდროს მიუღია და არც არასდროს მიიღებს – ნუ ატყუებთ ქართველ ხალხს!



**– ასე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი „ევროოპტიმისტების“ დეპუტატის, ხატია დეკანოიძის განცხადებას, რომელმაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტს „რუსული“ უწოდა.**

დეკანოიძემ სხდომაზე განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებას“ სურს, დემოკრატია დაანგრიოს და ქვეყანას მომავალი წაართვას.

**„რატომღაც ჰგონიათ, რომ საქართველოში პოლიტიკოსების მოვალეობა ჩვენ თავზე ზრუნვაა და საქართველოში პოლიტიკოსების მოვალეობაა ჩაგრულ ადამიანებზე ზრუნვა. ჩაგრულ ქალებზე, ემიგრაციაზე და ყველა იმ ადამიანზე ზრუნვა, ვის მხრებზეც დგას ჩვენი ქვეყანა. ქვეყანა, რომლის გადატეხაც ახლა უნდა „ქართულ ოცნებას“ ახალი „რუსული კანონმდებლობის“ შემოტანით... თქვენ გინდათ, რომ დემოკრატია დაანგრიოთ და ამ ქვეყანას მომავალი წაართვათ. ეს პოლიტიკური ძალა ხართ თქვენ,“** – აღნიშნა დეკანოიძემ.

დეკანოიძის ამ განცხადებას სხდომათა დარბაზში ხმაური მოჰყვა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ დეკანოიძეს მიმართა **„თქვი, რა არის რუსული და დეკლარირებაში რა არის ცუდი“.**

ოპოზიციონერის განცხადებას გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარეც, რომელმაც დეკანოიძეს უთხრა, რომ საქართველოს პარლამენტი არანაირ „რუსულ კანონს“ არ იღებს.

**„ქალბატონო ხატია, მაინც შეგახსენებთ, რომ ამ დარბაზს შეურაცხყოფას ნუ მიაყენებთ. არანაირ „რუსულ კანონს“ საქართველოს პარლამენტი არ იღებს. არც არასდროს მიუღია და არც არასდროს მიიღებს. ეს პათეტიკა, რაც შარშან გაგივიდათ, წელს არ გაგივათ. დაივიწყეთ. ნუ ატყუებთ ქართველ ხალხს,“** – განაცხადა პაპუაშვილმა.

## მამუკა მდინარაძე: საფუძვლიანი იმედი გვაქვს, რომ ამერიკის ახალი ელჩი ქართველ ხალხს ამგვარ ტყუილს არ აკადრებს

მამუკა მდინარაძის თქმით, საზოგადოების მოტყუება არავის უნდა შერჩეს.

**„ყოფილმა ელჩმა საქართველოს მოქალაქეებს შარშან სამარცხვინო ტყუილი აკადრა და ამერიკული კანონიდან გადმოწერილი კანონპროექტი, რომელსაც რუსეთში მოქმედ კანონთან საერთო არაფერი ჰქონდა, „რუსულ კანონად“ მონათლა. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი ელჩის პირობებში საქართველოში ექსტრემიზმის მხარდაჭერის პრაქტიკა შესუსტდა, გვაქვს საფუძვლიანი იმედი, რომ მოქმედი ელჩი ქართველ ხალხს ამგვარ ტყუილს არ აკადრებს.**



**„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონპროექტის გარშემო განვითარებული მოვლენების შემდეგ ექსტრემიზმის მხარდაჭერის პრაქტიკა, მართალია, შესუსტდა, მაგრამ ამგვარი პრაქტიკა სრულად აღმოფხვრილი არ არის. გარდა ამისა, კვლავაც გაუმჭვირვალე რჩება „ენჯეოების“ დაფინანსების 90 პროცენტზე მეტი. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ გვქონდა კონსულტაციები ყველაზე მსხვილი ამერიკული და ევროპული ფონდების, მათ შორის, „დემოკრატიის ნაციონალური ფონდისა“ (NED) და „დემოკრატიის ევროპული ფონდის“ (EED) ფინანსების გამჭვირვალობის შესახებ, თუმცა ვერ მივაღწიეთ ვერავითარ პროგრესს ამ ფონდების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კუთხით. ჩვენ ვერ ვიქნებით კონკრეტული ელჩების კეთილგანწყობის იმედად.**

**გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უსაფრთხოება სხვადასხვა მხრიდან არის დასაცავი. ასეთ პირობებში, მიგვაჩნია, რომ „ენჯეოების“ გამჭვირვალობას საქართველოში ალტერნატივა არ აქვს. რადიკალურმა ოპოზიციამ, „ენჯეოებმა“ და მათმა ლობისტებმა შარშან შეცდომაში შეიყვანეს ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც საკუთარი ხელით ათქმევინეს უარი კანონზე, რომელიც მათ წინაშე „ენჯეოების“ ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას ითვალისწინებდა. ჩვენ ვართ ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება და ქართული საზოგადოების ღირსების დაცვა ჩვენი უმთავრესი პასუხისმგებლობაა. საზოგადოების მოტყუება არავის უნდა შერჩეს“,** – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

* * *

**ორგანიზაციებმა იანვარში უნდა შეავსონ დეკლარაცია და ფინანსები გახადონ საჯარო. რა არის პრობლემა? რატომ არის ეს კანონი რუსული?** – განაცხადა **მამუკა მდინარაძემ.**

მან ასევე, განმარტა, რომ კანონი არ შეეხება არც ერთ ფიზიკურ პირს.

**„ორგანიზაციებმა იანვარში უნდა შეავსონ დეკლარაცია და ფინანსები გახადონ საჯარო. რა არის პრობლემა? რატომ არის ეს კანონი რუსული? დეკლარაციის შევსებაში პრობლემა რა არის? ფიზიკურ პირთან ამ კანონს არანაირი შეხება არ აქვს. არც ერთ ფიზიკურ პირს – არც ერთ ფერმერს თუ სტუდენტს ეს არ შეეხება. სტუდენტებს ეუბნებოდნენ, რომ თქვენ გეხებათო. რა შუაში იყო სტუდენტი? ეხება ორგანიზაციებს, რომლებიც უცხოეთიდან იღებენ დაფინანსების 20%-ზე მეტს და მხოლოდ იმ ნაწილში, რომ ყოველ იანვარში წინა წლის ფინანსების შესახებ დეკლარაცია უნდა შეავსონ“,** – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

## ამერიკულ კანონთან დაკავშირებით ისტერიული კამპანია არავის გამოუვა!

**უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით ისტერიული კამპანია არავის გამოუვა, თქვან, რა არის იმაში პრობლემა, რომ შეავსონ დეკლარაცია, – საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

მდინარაძის თქმით, ამის მეტს კანონი არაფერს ითვალისწინებს.

**„ოპონენტები ისევ შერაცხავენ რუსულად, რადგან მათ დღემდე არ მოუშლიათ ტერმინი „რუსული კანონი“. გუშინაც, გუშინწინაც ეს ბევრჯერ ახსენეს. დღემდე რჩება სიყალბე, რაც საუკუნის აფიორის სახით ჩამოყალიბდა ჩვენს ქვეყანაში და რამაც ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი შეცდომაში შეიყვანეს.**

**ამიტომ, ახლა მოუწევთ არა უბრალოდ „რუსული კანონის“ ძახება, არამედ საგნობრივ დისკუსიაში შემოსვლა. რა არის რუსული ან რა პრობლემაა, რომ წელიწადში ერთხელ უცხოური დაფინანსების მიმღებმა ორგანიზაციამ და არა რომელიმე კერძო პირმა, როგორც საზოგადოებას ატყუებდნენ, ისევე შეავსოს დეკლარაცია, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი ავსებს.**

**საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ეწერა და წერია ამ კანონში. კანონში წერია და ერთადერთი მოთხოვნაა, რომ მედიასაშუალებას, „ენჯეოს“ 20%-ზე მეტი თუ აქვს უცხოური დაფინანსება, მომდევნო წლის იანვარში უწევს დეკლარაციის შევსება, შეტანა საკუთარი ანგარიშების – რა მიიღო და რაში დახარჯა. ამ კანონში მეტი არაფერი წერია. ამას თუ არ გააკეთებენ, ჯარიმდებიან გარკვეული თანხით. სხვა დათქმა კანონში არაფერია. საუბარია მხოლოდ და მხოლოდ დეკლარაციის შევსებაზე.**

**ეს საზოგადოებამ დღემდე არ იცის, ბევრმა ადამიანმა დღემდე არ იცის, რომ იანვარში უნდა შეავსოს დეკლარაცია, თუ 20%-ზე მეტ უცხოურ დაფინანსებას მიიღებს. უნდა შეავსოს დეკლარაცია, რა დაფინანსება მიიღო შარშან და რაში დახარჯა. სულ ეს არის კანონის არსი. ერთადერთი, რაც შეიცვალა ამ კანონში, არის ის, რომ სიტყვა უცხოური გავლენის „აგენტი“ ჩანაცვლდა და გაკეთდა ჩანაწერი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციების შესახებ. სხვა არაფერი შეცვლილა, რადგან შესაცვლელიც არაფერია. ანალოგიური კანონპროექტები განიხილება უკვე ევროკავშირში. იცით, რომ ევრორეკომენდაციაა და ევროკავშირმა უკვე ევროპარლამენტს მიაწოდა თავისი დადებითი დასკვნა და უკვე ევროპარლამენტში განიხილება. საფრანგეთმა დაიწყო განხილვა და სხვა ქვეყნებშიც მიმდინარეობს.**

**ახლა ეს ისტერიული კამპანია არავის გამოუვა. მოვიდნენ და თქვან, რა არ მოსწონთ, საგნობრივ დისკუსიაში შემოვიდნენ. რა არის იმაში პრობლემა, რომ ყოველ წელს, იანვრის თვეში შეავსონ დეკლარაცია, წარმოადგინონ ხარჯები, შემოსავლები და დაფინანსების წყაროები. მეტს ეს კანონი არაფერს ითვალისწინებს და დღემდე, დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი ბევრმა ადამიანმა არც იცოდა. ახლა შემოვიდნენ საგნობრივ დისკუსიაში“,** – განაცხადა **მამუკა მდინარაძემ.**

# ალეკო ელისაშვილი ნამეტნავად მატრაკვეცობს

**არასამთავრობოების დაფინანსება 100 პროცენტით გამჭვირვალეა. ტყუილია, რომ შავ ფულს იღებენ, ეს კანონი არ უნდა გავატანინოთ,** – ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა, **ალეკო ელისაშვილმა** „ქართული ოცნების“ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, ქართველმა ხალხმა „ქართულ ოცნებას“ ამ კანონის მიღების საშუალება არ უნდა მისცეს.

**„რასაც აკეთებენ, ეს არის მავნებლობა და ბოროტება ქვეყნის წინააღმდეგ. ეს ქვეყანა ერთხელ ხომ აწვალეს და კინაღამ ამოატრიალეს? – რუსულია. ვინც რუსულს დაუძახებს, შეურაცხყოფააო. არ უნდა გავატანინოთ, რა რუსული კანონი საქართველოში? ყველაფერი გამჭვირვალეა, არასამთავროების დაფინანსება 100 პროცენტით გამჭვირვალეა. ტყუილია, რომ შავ ფულს იღებენ. ალბათ, რუსებთან ვალდებულებები აქვთ და ავალდებულებენ. ამ ყველაფერს ნორმალური ახსნა არ აქვს, ეს კანონი არ უნდა გავატანინოთ. ვისაც უნდა ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება, მათ მოვუწოდებ, აბჯარი აისხით, მოემზადეთ, დიდი ვნებათაღელვა გველოდება, ეს არ უნდა გავატანინოთ“,** – განაცხადა **ალეკო ელისაშვილმა.**



„ქართული ოცნება“ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტს ხელახლა წარადგენს. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ კანონპროექტი პარლამენტში დაინიცირდება ზუსტად იმავე ტექსტით, როგორც შარშან იყო დაინიცირებული, ერთადერთი განსხვავებით – კანონპროექტში ტერმინი „უცხოური აგენტი“ შეიცვლება და წარდგენილი იქნება შემდეგი ვარიანტი: „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“.





## არჩილ თალაკვაძე:

# „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი რომ არა, საქართველო იქნებოდა კოშმარში,

# „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაწირა მოქალაქეები!!!

**თქვენ გაწირეთ მოქალაქეები. რომ არა „ქართული ოცნება“, ბიძინა ივანიშვილი და მისი ლიდერობით გატარებული დემოკრატიული რეფორმები, დღემდე საქართველო იქნებოდა იმ კოშმარში, რომელშიც თქვენი ხელისუფლების დროს იყო,** – ასე მიმართა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, **არჩილ თალაკვაძემ** 2 აპრილის პლენარულ სხდომაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს.

**„დღეს საუბრობდით, თითქოს მოქალაქეები გაწირეთო. მე გეტყვით, სინამდვილეში მოქალაქეები როგორ გაწირეთ თქვენ. ჯერ ერთი, ემიგრაციის რეკორდი თქვენ გეკუთვნით. მერამდენედ საუბრობთ და იტყუებით, თქვენ გეკუთვნით ემიგრაციის რეკორდი, თანაც მაშინ, როდესაც უვიზო რეჟიმი არ ჰქონდა საქართველოს. უვიზო რეჟიმი რომ გვქონოდა, ორ-სამჯერ მეტი ადამიანი დატოვებდა ქვეყანას თქვენი ხელისუფლების პირობებში. მოქალაქეები გაწირეთ თქვენ, როდესაც 300 000 ადამიანი გაატარეთ პენიტენციური სისტემის უმძიმეს ტერორში და დღესაც ძალიან ბევრს არ შეუძლია, ნორმალურად შეასრულოს თავისი სოციალური თუ ეკონომიკური ფუნქცია, რადგან დააზიანეთ ჯანმრთელობა და ფსიქიკა; თქვენ გაწირეთ ჯარისკაცები, როდესაც მიატოვეთ ბრძოლის ველზე; თქვენ გაწირეთ პენსიონერები, როდესაც „ღიმილიანი საქართველოს პროგრამაში“ გყავდათ ჩართული; თქვენ გაწირეთ პაციენტები, როდესაც ჯანდაცვა გადააქციეთ ბიზნესად; თქვენ გაწირეთ ჟურნალისტები, როდესაც რეიდები ჩაატარეთ და დააპატიმრეთ ყველა, ვისაც განსხვავებული აზრი ჰქონდა ამ ქვეყანაში“,** – განაცხადა **არჩილ თალაკვაძემ.**

**უფრო კონკრეტულად, რა გავაკეთეთ ჩვენ: ხუთლარიანი დახმარება სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, რომელიც თქვენ გქონდათ, გავზარდეთ. დღეს ეს არის 200 ლარი თითოეულ ბავშვზე, ვისაც სოციალური დახმარება სჭირდება;**

**ჯანდაცვა, რომელიც თქვენ ბიზნესად გადააქციეთ და 2-3 მონოპოლიურ კარტელს ჩაუდეთ ჯიბეში, ჩვენ დავუბრუნეთ მოქალაქეებს. დღეისთვის 10.6 მილიონი სამედიცინო შემთხვევა აქვს სახელმწიფოს დაფინანსებული. თითოეული ღირს არანაკლებ 1 500 ლარი და ზოგიერთი ათიათასობით ლარი ჯდება;**

**პენსია 100 ლარი გქონდათ, როდესაც ჩვენ ჩავიბარეთ ხელისუფლება. დღეს 320-დან 415 ლარის ფარგლებში გაიცემა პენსიები საქართველოს მასშტაბით;**

**ჩვენ შევქმენით 245 000 სამუშაო ადგილი მხოლოდ კერძო სექტორში. თქვენ ატყუებთ საზოგადოებას და შეურაცხყოფას აყენებთ ბიზნესს, დამსაქმებლებს, როდესაც ასახელებთ იმ რიცხვებს, რომლითაც სპეკულირებთ და ცუდ პოპულიზმს მიმართავთ.**

**თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში გაფორმდა ევროკავშირთან. მხოლოდ ამ ხელშეკრულებით, მაგალითად, შარშან საქართველომ მიიღო 700 მილიონი ევროს შემოსავალი ექსპორტის შედეგად.**

**ჩვენმა მოქალაქეებმა, ფერმერებმა გაიტანეს თავიანთი პროდუქცია ექსპორტზე ევროპულ ბაზარზე. ესეც შემოსავალია თითოეულ ოჯახში და პირდაპირ შინამეურნეობებში იყო მიმართული“,** – დასძინა **არჩილ თალაკვაძემ.**

## ბექა ოდიშარია:

# 40-მილიონიან ქვეყანას რა გაუჭირდა, რომ ძებნილი ადამიანი არ იყოს მათი მთავარი კონსულტანტი?!



**სამწუხარო მოცემულობაა, რომ საქართველო ცალმხრივად არის პარტნიორულ ურთიერთობაში უკრაინასთან, უკრაინის ხელისუფლების ბობოლების დიდი რაოდენობა არაფრად დაგიდევს არც ძმურ, არც დიპლომატიურ ურთიერთობებს და არც საერთაშორისო სამართალს,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა, ბექა ოდიშარიამ განაცხადა.

ოდიშარიას თქმით, პრაქტიკულად, ისინი დიდი ხანია უგულებელყოფენ ქართული ხელისუფლების სამართლიან მოთხოვნას დამნაშავის გადაცემაზე.

**„ეს მათ ამცირებს და არა – ჩვენ. როგორც ჩანს, ჰააგაში ძებნილისა და დამნაშავის ხლება იმის საბაბი გახდა, რომ მათ მწვავე გზავნილები მიიღეს მასპინძლებისგან, რადგან ეს შეურაცხყოფს არა მხოლოდ ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებს, არამედ იმ პლატფორმას, რაც ჰააგაში იყო. ბედის ირონია და ცინიზმია, როცა ადეიშვილი ჰააგაში სამართლის საკითხებზე იყო ჩასული. ამ ხალხს რატომ ჰგონია, რომ ისინი დაუსჯელი დარჩებიან? – სამართალი ურმით დადის და მათ აუცილებლად დაეწევათ. მძიმე მოცემულობის მიუხედავად, ჩვენ უფრო აქტიური უნდა ვყოფილიყავით, ვიდრე ეს ხალხი გათავხედდებოდა და ადეიშვილს საერთაშორისო გამოფენებზე წაიყვანდნენ, ეს ჰააგა იქნებოდა თუ გერმანია. ძებნილი ადამიანი სამართლიანობის აღდგენაზე ჰააგაში მუშაობდეს, პირველად ვნახე. 40 მილიონიან ქვეყანას რა გაუჭირდა, რომ ძებნილი და მსჯავრდებული ადამიანი არ იყოს მათი მთავარი კონსულტანტი. ადეიშვილმა სამართლიანობა დააქცია და დაანგრია საკუთარ სამშობლოში და უკრაინაში როგორ უნდა აღადგინოს, ეს წარმოუდგენელია“,** – განაცხადა ოდიშარიამ.

როგორც ცნობილია, ზურაბ ადეიშვილმა უკრაინის გენერალურ პროკურორთან ერთად, ჰააგაში შეხვედრები გამართა. ამის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში უკრაინის გენერალურმა პროკურორმა, ანდრეი კოსტინმა შესაბამისი ფოტოებით გაავრცელა. მოგვიანებით კი, უკრაინის გენერალურმა პროკურორმა სოციალურ ქსელ X-ში გამოქვეყნებული ფოტოებიდან ზურაბ ადეიშვილი ჩამოაჭრა.

# ჰააგაში მიიღეს დოკუმენტი უკრაინაში რუსეთის დანაშაულების გამოსაძიებლად

**ჰააგაში გამართულ კონფერენციაზე მიიღეს დოკუმენტი, რომლის სახელწოდებაა „სამართლიანობის აღდგენა უკრაინაში“. დოკუმენტი რუსეთის მიერ უკრაინაში ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად სპეციალური ტრიბუნალის შექმნასა და გაყინული რუსული აქტივების უკრაინის სასარგებლოდ გამოყენებას ეხება.**

დეკლარაციას ხელი მოაწერა 44 ქვეყნის წარმომადგენელმა, მათ შორის აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ, იტალიამ და საქართველომ. კონფერენციაზე სულ წარმოდგენილი იყო 57 სახელმწიფო.

დოკუმენტის ხელმომწერები გმობენ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიას და მას საერთაშორისო წესრიგის თვალსაჩინო დარღვევას უწოდებენ. დოკუმენტში ნახსენებია გაეროს სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთს საომარი მოქმედებების შეჩერებას ავალდებულებს. დეკლარაციის მხარდამჭერი ქვეყნები საერთო ძალისხმევის გაძლიერების ინიციატივით გამოდიან, რათა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ წამოწყებული ომის პერიოდში გამოვლენილი საერთაშორისო სამართლის ყველა დარღვევა სათანადოდ იყოს გამოძიებული და შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

დოკუმენტის ხელმომწერები ადასტურებენ მზადყოფნას, იმუშაონ სპეციალური ტრიბუნალის შექმნაზე, რათა რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხი აგოს, მათ შორის საუბარია რუსეთის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის დასჯაზეც. დეკლარაციის მეორე ნაწილში საუბარია უკრაინისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის საკითხზე. ხელმომწერი ქვეყნები მიესალმებიან ზარალის რეესტრის ამოქმედებას, რომელიც განაცხადების მიღებას დაიწყებს. ხელმომწერი სახელმწიფოები პირობას დებენ, რომ მათ იურისდიქციაში არსებული რუსული აქტივები გაყინული იქნება, ვიდრე მოსკოვი არ შეწყვეტს აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ და არ აანაზღაურებს მიყენებულ ზარალს. ისინი ასევე მიესალმებიან დისკუსიას ამ აქტივებისა და მათგან მიღებული შემოსავლის უკრაინის სასარგებლოდ გამოყენების საკითხზე.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ დეკლარაციის ხელმომწერ ქვეყნებს მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ სპეციალური ტრიბუნალის შექმნა მოხერხდება.

№40. ხუთშაბათი, 4 აპრილი, 2024 წელი.



ეკა გიგაური



ეკა არეშიძე



მადონა მაისურაძე



თამარ ხაჟომია



გიორგი მშვენიერაძე

# ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო!



## „ის პრობლემები, რაც დღეს სასამართლოშია, უმნიშვნელოდ მოგვეჩვენება, თუ კონტროლს ის არასამთავრობოები, ნამდვილი მოსყიდული აგენტები აიღებენ, რომლებიც პირდაპირ შეკვეთებს ასრულებენ“

**სასამართლო სისტემიდან მოსამართლეთა „არაკეთილსინდისიერი გამევებისგან“ თავისუფლებით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო 50 ქვეყანას შორის 46-ე ადგილზე, ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-16, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი მე-2 ადგილზეა. საქართველო უსწრებს დიდი შვიდეულის 6, ევროკავშირის 15 და ნატოს წევრ 20 სახელმწიფოს, ევროკავშირის კანდიდატ ყველა ქვეყანას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეიტინგში ჩამორჩება როგორც აშშ, ასევე კანადა, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, იაპონია, ავსტრალია და ა.შ.**

**2012 წელს საქართველო რეიტინგში 108-ე ადგილზე იყო და სარეიტინგო პოზიცია 11 წელიწადში 62 ადგილით აქვს გაუმჯობესებული.**

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა მაღალია და ის უსწრებს თვით აშშ-ს, საქართველოში სასამართლო ხელისუფლებაზე ორგანიზებული შეტევა დაიწყო. „მურუსიძის ჩახოხბილი ვჭამოთ?“**, – ამ სახის სტენსილები გაჩნდა თბილისის ქუჩებში. როგორც ირკვევა, ამ კამპანიის ორგანიზატორი არიან ა-ო „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ გამგეობის წევრი **გიორგი მშვენიერაძე**, ა-რ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი **ეკა გიგაური** და „ნაციონალური მოძრაობა“.

არსებული ინფორმაციით, სასამართლოს წინააღმდეგ მოქმედებისთვის ქართულმა ა/ო-ებმა შესაბამისი გრანტი უკვე მიიღეს და ამავე კამპანიის ნაწილია ბულინგი ყველა იმ მოსამართლის წინააღმდეგ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ე.წ. „ვეტინგის“ სისტემის ამოქმედებას.

თბილისის მერის **კახა კალაძის** განცხადებით, დედაქალაქში მოსამართლეების თემატიკაზე საპროტესტო ხასიათის სტენსილების განთავსების უკან რადიკალური ჯგუფები დგანან. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ამ ეტაპზე, მოსამართლეების პატიოსნება ეჭვქვეშ არ დგას და ამაზე ის საერთაშორისო კვლევებიც მიუთითებს, რომლის თანახმადაც, საქართველოს სასამართლო სისტემა ერთ-ერთი მოწინავეა.

**„სტენსილები, რა თქმა უნდა, რადიკალების მხრიდან განხორციელებული აქტია. ეს არ არის პირველი შემთხვევა. ჩვენ გვახსოვს, წლების განმავლობაში მსგავსი ბინძური კამპანიები. ვიცით, ყველაფერი საიდან და ვისგან ფინანსდებოდა. აუცილებლად უნდა გასაჯაროვდეს, თუ ვინ იყო შემსრულებელი, ვისი დაკვეთით კეთდებოდა.**

**რაც შეეხება მოსამართლეების პატიოსნებას, არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მთელი რიგი კვლევები. საქართველოს სასამართლო სისტემა ამ მიმართულებით ერთ-ერთი მოწინავეა. ყველაფერი შედარებითია“**, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

მაშინ, როდესაც დაწყებულია ცილისმწამებლური კამპანია, რათა მოსამართლეების „ვეტინგის“ სისტემით შემოწმების საფუძველი შეიქმნას, ამერიკის საელჩოს იუსტიციისა და მართლმსაჯულების მიმართულების კურატორმა, ე.წ. „ვეტინგის“ მომხრე სამი მოქმედი მოსამართლე – **ეკა არეშიძე, მადონა მაისურაძე** და **თამარ ხაჟომია** დაბადების დღის აღნიშვნის მოტივით, იტალიაში წაიყვანა. მოსამართლე **ეკა არეშიძე** ადასტურებს, რომ დაბადების დღის აღნიშვნის მოტივით იტალიაში იმყოფება, მაგრამ უარყოფს ამ ვიზიტთან ამერიკის საელჩოს კავშირს. და მით უფრო, თავის პოზიციას „ვეტინგის“ სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

**– არ ვთვლი, რომ ვინმეს ანგარიში უნდა ჩავაბარო, სად და ვისთან ერთად დავისვენებ თუ ვიცხოვრებ. რაც შეეხება ვეტინგს, ამაზე პოზიცია საჯაროდ დავაფიქსირე, დავაზუსტებ რომ ვეტინგს არ ვეწინააღმდეგები, თუ ამის საჭიროებაა. ალიბი არ გვჭირდება. სხვათა შორის, ჩემი ამ გეგმის შესახებ, ჩემმა სხვა ბევრმა კოლეგამაც იცოდა, ასევე ისიც, თუ ვისთან ვმეგობრობ წლებია, არ არის საიდუმლო.**

**სასწავლო ვიზიტები სხვაგვარად იგეგმება და ფინანსდება, სადაც მხოლოდ მე და ჩემი მეგობრები არ დავდივართ. ეს კამპანია იმ მოსამართლეთა დისკრედიტაციას ემსახურება, ვისაც განსხვავებული პოზიცია აქვს, თუმცა არ არის პრობლემა, ყოველთვის მქონდა და მექნება ჩემი აზრი და პოზიცია,** – წერს **ეკა არეშიძე.**

* * *

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **ირაკლი ღარიბაშვილმა** შეახსენა იტალიაში მყოფ მოსამართლეებს, რომ ისინი ქართული სასამართლოს მოსამართლეები არიან და თუ მათ არ უნდათ საქართველოს სასამართლოში მუშაობა, კეთილი ინებონ და დატოვონ სასამართლო.

**– იმუშაონ სხვა ქვეყნების სასამართლოებსა თუ ორგანიზაციებში. დამთავრდა ის დრო, როცა სასამართლო იმართებოდა ისე, როგორც ნაცების დროს. ასევე, არ დადგება ის დრო, როცა სასამართლოს მომართავენ გარე ძალები. ესეც, რა თქმა უნდა, დაუშვებელია და მით უმეტეს ვიღაც აგენტების ხელით, არ მოვერიდები ამის თქმას. დღეს ყველამ პატივი უნდა ვცეთ ჩვენს მოსამართლეებს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა არიან პატრიოტები, რომლებიც იცავენ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს და ჩვენი ხალხის ინტერესებს. გადახედეთ რეიტინგებს, ყველა რეიტინგის მიხედვით, ყველა გამოკითხვის მიხედვით, ჩვენი სასამართლო არის ერთ-ერთი მოწინავე მთელს ევროპაში. ვუსწრებთ ყველა კანდიდატ ქვეყანას და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და მათ შორის ვართ პირველ ადგილზე კანონის უზენაესობის მიხედვით. ეს კამპანია ვეტინგთან დაკავშირებით არის შეურაცხმყოფელი კამპანია. თუ ჩვენ გვაქვს თავმოყვარეობა და პრეტენზია, რომ ვართ თავმოყვარე ერი, ჩვენ არ უნდა დავუშვათ და ამას არ დაუშვებს ჩვენი ხელისუფლება, რომ ვიღაცამ შეამოწმოს ჩვენი პატრიოტი მოსამართლეების ე.წ. კეთილსინდისიერება. ჯერ მათი კეთილსინდისიერება გამოვიკვლიოთ კარგად, გავარკვიოთ, ვინ არიან ეს ადამიანები და როგორ ბედავენ, საერთოდ, ვიღაცის კეთილსინდისიერებაზე საუბარს,** – განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

* * *

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის **ირაკლი ქადაგიშვილის** განცხადებით, აამუშავეს სასამართლოზე და საზოგადოებაზე დაბულინგების, ფსიქოლოგიური ზეწოლის მექანიზმები.

**– იმის გამო, რომ ამ ყველაფერს საფუძველი საერთოდ არ გააჩნია და კრიტიკას ვერ უძლებს, ამიტომ ჩვეულებრივი დაბულინგების და სასამართლოზე და საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მექანიზმები აამუშავეს და დაიწყეს ქალაქში ამ წარწერების გაკეთება, რომ მოსახლეობაში რაღაცნაირად შექმნან ის განწყობა, რომ თითქოს, ისეთი მდგომარეობაა საქართველოს სასამართლოებში, რომ ხალხი გამოდის და ქუჩაში წერს რაღაცებს.**

**ამას ორგანიზებას უწევს, რა თქმა უნდა, გარკვეული უცხოური დაფინანსების მქონე რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაცია. თუ რომელია ეს, საკმაოდ რთული მისაგნებია, მაგრამ ბოლოს გამოჩნდება, იმიტომ, რომ საქართველოში ყველა და ყველაფერი გამჭვირვალეა, გარდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა,** – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას **ირაკლი ქადაგიშვილმა.**

* * *

პოლიტოლოგი **სოსო მანჯავიძე** დარწმუნებულია, რომ პროცესი გარე ძალებისგან არის მართული და თვლის, რომ ეკა გიგაური არის რეციდივისტი, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს.

**– ეროვნული ინტერესი არის ის, რომ სასამართლოს ვაკონტროლებდეთ ჩვენ და ამ შემთხვევაში – ქართველი ხალხი, ამის მექანიზმი არსებობს და ამის რეფორმირებას ვახდენდეთ ჩვენ, ჩვენივე მოთხოვნების საფუძველზე. თუმცა, ეს ხშირად ასე არ არის და ისე არ არის, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ ეს პრობლემები, რაც არის სასამართლოში, უმნიშვნელოდ მოგვეჩვენება იმ შემთხვევაში, თუ სრულ კონტროლს აიღებენ ისეთი ა/ო-ები, რომლებიც პირდაპირ შეკვეთებს ასრულებენ, ესენი არიან აგენტები.**

**რა მექანიზმია ეს ე.წ. ვეტინგი – არასამთავროების რეკომენდაციით საელჩოები შეარჩევენ მოსამართლეებს და რა პარამეტრებით შეარჩევენ ხომ ვიცით. ვინც ამბობს, რომ თუ უცხოელები დაგინიშნავენ მოსამართლეებს, ეს კარგია, ისინი, უბრალოდ, არ უნდა იყვნენ საზოგადოებრივ სივრცეში. ისეთი ადამიანი, როგორიც ეკა გიგაურია, რომელიც კიდევ ერთხელ ვამბობ, რეციდივისტია, ისევე როგორც ლგბტ-ს ცნობილი პროპაგანდისტი გიორგი მშვენიერაძე,** – აცხადებს **მანჯავიძე.**

პოლიტოლოგი იხსენებს ფაქტს, როდესაც 2011 წელს ეკა გიგაურის ორგანიზაციის სახელით ვინმე **მატიას ჰუტერმა** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომლითაც მოითხოვდა იმ ნორმის გაუქმებას, რომელიც ზღუდავდა საქართველოში უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის უფლებას.

**– მაშინდელმა სასამართლომ გააუქმა ის ნორმა ამათი მოთხოვნით. მომენტალურად დაიწყო უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვა. როდესაც შეიცვალა ხელისუფლება და ახალი კონსტიტუციის მიღებამდე მორატორიუმი გამოცხადდა, მაშინვე შეიტანა სარჩელი გიგაურის ორგანიზაციამ და მორატორიუმის არაკონსტიტუციურობას ითხოვდა და საკონსტიტუციო სასამართლომ კვლავ გააუქმა მორატორიუმი და მაშინ მივიღეთ ჩვენ ის, რომ მომენტალურად გაიყიდა მუქთად სასოფლო-სამეურენო მიწის ნაკვეთები. ვის შეკვეთებს ასრულებდა ქალბატონი გიგაური, ამით დიდი ხნის წინ უნდა დაინტერესებულიყვნენ სამართალდამცავი ორგანოები. დრო მოვა და ესენი უნდა გასამართლდნენ სამშობლოს ღალატისთვის“,** – აღნიშნა **სოსო მანჯავიძემ.**

**თამთა ქარჩავა**

# „წყალი – მშვიდობისთვის“, წყალი – სიცოცხლისთვის



**გასულ კვირას მსოფლიომ წყლის დღე აღნიშნა. ეს დღე საქართველოშიც იზეიმეს. მოგეხსენებათ, ერთ სულ მოსახლეზე განახლებადი წყლის რესურსების ჯამური რაოდენობით საქართველო ევროპაში ერთ-ერთი წყალუხვი ქვეყანა გახლავთ; ამიტომაც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) საკონსულტაციო სტატუსის ორგანიზაციის ა(ა)იპ გარემოს დაცვის ეკოცენტრისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ინიციატივით ამ დღემ საინტერესოდ ჩაიარა. წყლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სემინარი, სახელწოდებით „წყალი – მშვიდობისთვის“, მიმდინარე წლის 28 მარტს ჩატარდა.**



**სემინარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის თანამშრომლების გარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნოე ხოზრევანიძე და სხვა მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის ინიციატივით სემინარზე ქ. თბილისის №221 მეგა სკოლა, №159, №61, №179 საჯარო და კერძო (GEO SKY SCHOOL, ევროპული სკოლა და „მწვანე სკოლა“) სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლებიც იყვნენ მოწვეულნი.**

ეს იყო გონივრული და საგანმანათლებლო-შემეცნებითი ნაბიჯი ცოტნე მირცხულავას სახელობის ინსტიტუტის მხრიდან, რადგან ინფორმირებულობა, საკუთარი ქვეყნის ბუნებისადმი პატივისცემა, არა მხოლოდ პატრიოტულ განწყობებს უნერგავს ახალგაზრდებს, არამედ უღვივებს მათ უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილს და მისწრაფებებს, რაც მომავალი პროფესიის არჩევასა და ათვისებაში ეხმარება.

ინსტიტუტის სტუმრებს, სემინარის მონაწილეებს, თავდაპირველად, ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი გივი გავარდაშვილი მიესალმა. მისი გამოსვლა ინფორმაციულად დატვირთული და მეტად საინტერესო იყო.

**გივი გავარდაშვილი: „საქართველოს მდინარეების უმეტესობა წყლის ხარისხის სტანდარტებს აკმაყოფილებს, თუმცა, პერიოდულად, ზოგიერთ მდინარეში წყლის ხარისხთან დაკავშირებით არის გარკვეული გამოწვევები.**

**წყლის რესურსებს შორის მნიშვნელოვანია მიწისქვეშა წყლების როლი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა სახეობით – მტკნარი, მინერალური, თერმული, სამკურნალო-ბალნეოლოგიური და სამრეწველო წყლებით არის წარმოდგენილი. მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, ხოლო სამკურნალო-ბალნეოლოგიური მიწისქვეშა წყლები საკურორტო-ტურიზმისა და სამკურნალო-დასასვენებელი ქსელის აღდგენა-განვითარების შესაძლებლობებს ქმნის“,** – განაცხადა ბატონმა **გივი გავარდაშვილმა** საუბრის დასაწყისში.

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ საქართველოს წყლის რესურსების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობის რეგულარულ მონიტორინგს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სამი სხვადასხვა დარგობრივი დეპარტამენტი – გარემოს დაბინძურების მონიტორინგის, ჰიდრომეტეოროლოგიის და გეოლოგიის დეპარტამენტები ახორციელებენ, ხოლო ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევები სააგენტოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიებში ტარდება.

**საქართველოში მთავარ წყალმოსარგებლეებს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ენერგეტიკისა და საყოფაცხოვრებო სექტორები წარმოადგენენ. წყლის რესურსები, თავისთავად ცხადია, რეკრეაციული მიზნითაც გამოიყენება.**

სემინარზე სიტყვით გამოვიდა პროფესორი ნოე ხოზრევანიძე, რომელმაც თქვა, რომ, „თეორიულად წყლის რესურსები ამოუწურავია, რადგან მათი რაციონალური გამოყენების დროს ისინი კვლავაც აღდგებიან წრებრუნვის პროცესში, მაგრამ წყლის მოხმარება ისეთი ტემპით იზრდება, რომ კაცობრიობის წინაშე დგება ახალი პრობლემა – როგორ უზრუნველყოს მოთხოვნილება მათზე მომავალში.

წყლის რესურსების ამოწურვის საშიშროებას ქმნის მდინარის, ტბისა და ზღვის წყლის სწრაფად მზარდი გაჭუჭყიანება, რასაც იწვევს მათში დაბინძურებული წყლების ჩაშვება“.

აკადემიკოსმა გივი გავარდაშვილმა და ინსტიტუტის თანამშრომლებმა სემინარზე მოწვეულ სტუმრებს პრეზენტაციები წარუდგინეს საქართველოს წყლის რესურსების – ზღვების, მდინარეების, ტბების, მიწისქვეშა წყლების, კაშხლების, წყალსაცავების და სხვათა შესახებ.

დამსწრეებმა, ზემოთ დასახელებული სკოლების მოსწავლეებთან ერთად, დაათვალიერეს ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორია, სადაც ისრაელსა და აშშ-ში წარმოებული თანამედროვე აპარატურის გამოყენებით წყლის ქიმიური და ლაბორატორიული ანალიზი წარმოებს, რომელსაც ხელმძღვანელობს ინსტიტუტის თანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი თამრიკო სუპატაშვილი.

აქვე ხდება ლაბორატორიულ პირობებში მცენარიდან წყლის ევაპოტრანსპირაციის (მცენარეების და ნიადაგის ზედაპირის მიერ ფართობის ერთეულიდან დროის გარკვეულ მონაკვეთში წყლის ჯამური აორთქლება. – **რედ.**) კოეფიციენტის განსაზღვრა. ამ მიმართულებით სემინარის მონაწილეებს პირდაპირი ცდები წარუდგინა ინსტიტუტის ასოცირებულმა პროფესორმა, ქალბატონმა ოლღა ხარაიშვილმა.

**სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა კიდევ ერთი შთამბეჭდავი დღე აჩუქა მოზარდებს. ეს იყო მეცნიერებისა და ბუნების სიყვარულის პროპაგანდის კიდევ ერთი, იმ დიდი სამუშაოების ნაწილი, რომელსაც ახორციელებს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც უკვე 99 წელიწადი.**

სემინარის შემაჯამებელ გამოსვლაში კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ წყალი სიცოცხლის ნიშანია, სწორედ ამიტომ, ამ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ რესურსს, ისევე, როგორც ყველა დანარჩენს, დედამიწაზე მოფრთხილება სჭირდება, ხოლო წყალი რომ ჩვენი ქვეყნის უდიდესი სიმდიდრეა, ამას „წყალი არ გაუვა“.

**სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, მუხლჩაუხრელად შრომობს საქართველოს წყლის და არა მხოლოდ წყლის რესურსების დაცვის თვალსაზრისით და ამის უტყუარი ნიშანი იყო სწორედ სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი, რომლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებმა მოულოდნელი საჩუქრებიც მიიღეს კეთილი მასპინძლებისგან.**

**ირანდა კალანდაძე**

# ეკონომიკამ მოულოდნელი ნახტომი შეასრულა

**ეკონომიკური ზრდის ტემპი ერთბაშად დაჩქარდა. ეს ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ მთავრობა დაბეჯითებით ირწმუნება, რომ მიღწეული შედეგი შენარჩუნდება და გაუმჯობესდება კიდეც. ყოველ შემთხვევაში, წლის დასაწყისში სტარტი იმაზე გაცილებით უკეთესი გამოვიდა, ვიდრე საუკეთესო სცენარით იყო განსაზღვრული.**

წინასწარი შეფასებით, **2024 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 9.5% შეადგინა, ხოლო იანვარი-თებერვლის საშუალო მაჩვენებელი 7.7%-ია. „საქსტატის“ ცნობით, 2024 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: დამმუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტრანსპორტი და დასაწყობება.**

მაშინ, როდესაც მიმდინარე წელს ყველა ეკონომიკური ზრდის შენელებას ელოდება, წლის პირველივე თვეებში საპირისპირო შედეგი დაიდო. რამ გამოიწვია ვითარების ასეთი განვითარება? ეკონომიკის მინისტრის მოადგილის **ვახტანგ ცინცაძის** შეფასებით, ეკონომიკური ზრდა დივერსიფიცირებულია და აქტივობის ზრდა დასტურდება ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში.

ცინცაძე რიგი გადაწყვეტილებების და ინიციატივების შესახებ საუბრობს, რომლებიც ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლადაა მიმართული. მისი თქმით, საქართველოს მთავრობას ამ მიმართულებით საკმაოდ ამბიციური გეგმები აქვს, რომლის შესახებაც საზოგადოებას 2024 წლის განმავლობაში ეტაპობრივად ეცნობება.

მინისტრის მოადგილის შეფასებით, მთავრობის ღონისძიებებს პოზიტიური გავლენა ექნება მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის და ინდუსტრიული განვითარების და ეკონომიკის სტრუქტურული გაუმჯობესების მიმართულებით, რაც თავის მხრივ აისახება სამუშაო ადგილების ზრდაზე და ხელს უწყობს ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირებას.

**სავალუტო შემოდინებები, ექსპორტის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ტურიზმის ზრდა – „თიბისის“ მთავარი ეკონომისტის შეფასებით, ეს ის არგუმენტებია, რამაც თებერვალში ეკონომიკის 9,5%-მდე ზრდა განაპირობა. გასათვალისწინებელია მიგრანტების ეფექტიც, რომელთა ნაკადი შემცირდა. ოთარ ნადარაიას განცხადებით, შემცირების ტემპი შეჩერდა და ამ მხრივ მცირედი გაუმჯობესებაა.**

**„ვნახეთ, რომ სავალუტო შემოდინებები გაძლიერდა მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის პიკი გავლილია და მიგრაცია მცირდებოდა, თუმცა წმინდა სავალუტო შემოსავლები, ექსპორტი, გზავნილები, რუსეთის შესწორების შემდეგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით კაპიტალის კომპონენტი და ტურიზმი გაძლიერდა.**

**რასაც ჩვენ ვხედავთ, მიგრაციის პიკი გავლილია, თუმცა ძალიან უხერხულია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ვიცით რაც ხდება, სამწუხაროდ, უკრაინაში, ასევე არის საუბარი შემდგომ მობილიზაციის შესაძლებლობაზე რუსეთში და ბუნებრივია, ალბათ, ამ თემას უკავშირდება, რომ პიკის გავლის მიუხედავად, გვაქვს გარკვეული გაუმჯობესება“,** – აღნიშნა **ნადარაიამ.**

განვითარების დაჩქარებულ ტემპს გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე.** მისი შეფასებით, ძალიან სასიხარულოა, რომ ახალი მთავრობის საქმიანობის პირველივე თვე მაღალი ეკონომიკური ზრდით აღინიშნა და იმედია, ეს ტენდენცია შენარჩუნდება.

**„ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ჩვენი, თუნდაც საგარეო პოლიტიკური პოზიციები გაძლიერდეს, რათა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სიღარიბეა, მოსახლეობის დაახლოებით, 15% ჯერ კიდევ სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. სწორედ ეკონომიკურ ზრდაზეა დამოკიდებული ამ მაჩვენებლის განულება, რაც ჩვენი ეროვნული ამოცანაა. დარწმუნებული ვარ, ამ წლის ბოლოს, სიღარიბის შემცირების კუთხით, ეკონომიკური ზრდიდან გამომდინარე, სერიოზული წინსვლა გვექნება“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

**ბექა დანელია**



**მიმდინარე წელს შესრულდება ქეთევან წამებულის დაბადებიდან 450 და მოწამებრივი აღსასრულიდან 400 წლისთავი. იბერიელი დედოფლის, — ქეთევან ბაგრატიონის სახელი და მისი საარაკო გმირობის ამბავი იმჟამინდელი მსოფლიოს ევრაზიული ქვეყნების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.**

„პირმშვენიერი და დარბაისელი, არა მხოლოდ ერთი სამეფოს, არამედ მთელი იმპერიის მრძანებლობის ღირსი იყო“ — წერდა დიდმოწამე ქეთევანის შესახებ მისი აღსასრულის თვითმხილველი და მისი წმინდა ნაწილების გადამრჩენელი პორტუგალიელი ბერი ამბროზიო დუშ ანჟუში.

ძალებით; მუხრანიდან გრემისაკენ მოეწყო ფეხით მსვლელობა იმ გზით, რომლითაც ოთხი საუკუნის წინ მეძორწინეთა მაყრიონს შეიძლებოდა გაევლო... მაშინ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ სამი ათეული წლის მერე ამ დღესასწაულს „ანალოგი“ გამოუჩნდებოდა და 26 სექტემბრის წამების დღისაგან განსხვავებით, ეს იქნებოდა ხალისიანი, ბუნების განახლების ახალი დღესასწაული.

**„გაზაფხულის ქეთევანობა“ — ასე უწოდა მარტში დაბადებული, უფრო ზუსტად, საქართველოს მეობის გადასარჩენად მარტის თვეში შობილი, ქეთევან დედოფლის დაბადების დღის ყოველწლიურ აღნიშვნას ისტორიკოსმა და პოეტმა „ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ დამფუძნებლმა ქალბატონმა თამარმა. იგი შვილია ზემოთ ხსენებული გაზეთის მხატვრული რედაქტორის, — ახლო წარსულის პირველი მუხრანელი ხატმწერის, ლოტბარისა და პედაგოგის თენგიზ ფარჩუკიძისა, ვინც გასული საუკუნის მეორე ნახევარში, ოჯახთან ერთად არა მხოლოდ მუხრანის, არამედ, მთელი მცხეთის რაიონის სახეს წარმოადგენდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე.**

(შიობრიშვილი) სიწმინდეების გადაცემის პატივი წილად ხვდა საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრებს.

ამავე ტაძარში, სადაც ჯვარი დაიწერეს ქეთევან ბატონიშვილმა და კახეთის უფლისწულმა დავითმა, წირვა აღავლინა მეუფე ზოსიმემ. მუხრანის მრევლთან ერთად, დღესასწაულს ესწრებოდნენ მცხეთის მერი დიმიტრი ზურაბაშვილი და მუნიციპალური სამსახურის მუშაკები: გელა ბაქრაძე და ზურაბ მიქელაძე.

**წინამდებარე წერილის ავტორებთან ერთად, დედაქალაქიდან მუხრანში ჩასულ სტუმართა შორის იყვნენ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი მოღვაწეები: მონაზონი მარიამი (ია ბაგრატიონ-მუხრანელი), ბერი იოაკიმე, ზ. ბოტკოველი, გვ. მანია, ნ. ჭანტურია, ი. პატაშური, ა. ქოქრაშვილი, დ. ბახტაძე, ა. ჩხიკვაძე, გ. უნაფქოშვილი, პ. შუბითიძე, ი. მინდიაშვილი, ზ. მაღრაძე, მ. ლომიძე, ქ. დოლიძე, ნ. ქავთარაძე, გ. დამენია, ე. ნიკოლაძე, თ. თომაძე, მ. ჭანაშვილი, თ. ხვედელიანი, ლ. ხორბალაძე, თ. კაპანაძე, ნ. სალუქვაძე, მ. ლიპარტელიანი, სტუდენტები: ა. ზავრაშვილი, ლ. ტაკიძე, ნ. ღვინჯილია და სხვები.**



თამარ მუხრანელი (ფარჩუკიძე) „ქეთევან წამებულის“ მწვერვალზე.
ფოტოები ავთო ჩხიკვაძისა.

სების ორდენოსანი პედაგოგის — ქალბატონ ეთერ (ქეთევან) სამჭკუაშვილის განსასვენებელთან დაირგო კიპარისის ნერგები.

და თუმცა, ეს ისტორიული დღე ტელევიზიებით არ გადაცემულა, ვიდეომატიანე, რომელიც მალე რელიკვიად იქცევა შექმნეს ირაკლი ზეიკიძემ და ვახტანგ გომარელმა. სტუმრებს უმასპინძლეს ალექსანდრე ბიჭიაშვილმა

# „ივერიის მნათობმა“ დედოფალმა გაგვინათოს გონება, მოგვმადლოს ერთსულოვნება!



## „გაზაფხულის ქეთევანობა“ მუხრანში

ქეთევან დედოფლის სახელის მასშტაბები კი, არათუ გასცდა რომელიმე „იმპერიის მბრძანებლის“ პოლიტიკურ შინაარსს, არამედ, „ევროპული რენესანსის დეკადანსის პირობებში, მრავალი ქვეყნის კულტურისთვის ზნეობრივი გმირის იდეალად და სულიერ ვარსკვლავად იქცა“ (თ. ფარჩუკიძე). რაც შეეხება სპარსეთის ტახტის თვითმპყრობელ შაჰ აბასს, ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ ეს დედაკაცური გმირობა მისთვის ომში დამარცხებაზე არანაკლებ გამაოგნებელი და დამთრგუნველი აღმოჩნდა.

კათოლიკური ეკლესიის მცდელობა — წმინდანად შეერაცხათ ქეთევან დედოფალი, — უსაფუძვლო და უშედეგო აღმოჩნდა, რადგანაც წმიდა ქეთევანი ბოლომდე დარჩა მართლმადიდებლური აღმსარებლობის ერთგულად. საქართველოს ეკლესიამ კი მოწამებრივი აღსასრულიდან მცირე ხანში დიდმოწამე დედოფალი წმინდანად შერაცხა.

XVII-XIX საუკუნეებში დიდმოწამის ისტორია აღიბეჭდა მრავალი ქვეყნის, მათ შორის, საბერძნეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, სლოვაკეთის, სომხეთის საერო და სასულიერო შემოქმედებაში.

წამებიდან სულ მალე დედოფლის სახე გაცოცხლდა თერთმეტ ენაზე შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, საოპერო და დრამატული თეატრების სცენებზე გამართულ წარმოდგენებში, მუსიკალურ დრამაში, კედლის მხატვრობაში, ფერწერაში და სხვ. ქეთევან დედოფალი სხვადასხვა ენებზე მოხსენიებულია გატევანდად, კეტეონად, ქეთეოსად, კატარინად და თვით მარიამადაც კი.

დედოფლის წმინდა ნაწილები და მასთან დაკავშირებული სიწმინდეები, საქართველოს ხუთი ეკლესიის გარდა, განეფინა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, ინდოეთში, ირანში, რუსეთში, იტალიაში, ბელგიაში, ინგლისში, პორტუგალიაში.

1990 წლის 26 სექტემბერს, წმინდანის მოწამებრივი აღსასრულის დღეს, მუხრანში პირველად აღინიშნა სახალხო „ქეთევანობა.“ იმხანად, ჯერ კიდევ, დისიდენტური მოძრაობის პერიოდში, გამოიცა ხელნაწერი გაზეთი „სატევარი,“ მოეწყო კონცერტი სოფლის სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების

წმიდა ქეთევანისადმი სასოება, მისი მნიშვნელობისა და პიროვნული ღირსებების უკვდავყოფისათვის ზრუნვის ოჯახური ტრადიციები ქალბატონმა თამარმა გააგრძელა, ახლა უკვე, საზოგადოებრივ მოძრაობად აქცია. რვა წლის წამოწყებული „გაზაფხულის ქეთევანობის“ საქმე ნელ-ნელა ძალას იკრებს: დაიწერა ამავე სახელწოდების ხატი, დაარსდა „ქეთევან დედოფლის საზოგადოება,“ შეიქმნა საზოგადოების ლოგო, თანდათან მატულობს სხვადასხვა სახის სამეცნიერო, კულტურული, შემეცნებითი ხასიათის აქტივობები, რომლებიც ასახულია საზოგადოების სამოქმედო გეგმებში.

ამავე საზოგადოების გამგეობის წევრის, ცნობილი ჟურნალისტისა და მოგზაურის გვანჯი მანიას ინიციატივით, კარტოგრაფთა და ალპინისტებისგან შემდგარმა ჯგუფმა დიდგორის უღელტეხილზე ჩაატარა დაზვერვითი სამუშაოები დიდმოწამის სახელობის მწვერვალის დასაარსებლად. მოინიშნა სამი მწვერვალი (მ.შ. ერთ-ერთი დედოფლის აღსასრულის თარიღის მსგავსად, 1625 მ. სიმაღლის) სახელწოდებით „ქეთევან დედოფლის სანახები;“ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა ერთ-ერთ ციურ სხეულს ეწოდოს „ქეთევან დედოფალი;“ გამოიცა სამეცნიერო-შემეცნებითი შინაარსის მაგიდის კალენდარი, რომელშიც მოკლედაა ასახული ქეთევანის გზა დაბადებიდან ამაღლებამდე, მისი ცხოვრების თანამდევი მოვლენები და საზოგადოების საქმიანობა, მომავლის მიზნები.

24 მარტს კი დადგა საიუბილეო „გაზაფხულის ქეთევანობა,“ რომელიც წმიდა დიდმოწამე ქეთევანის მშობლიურ სოფელ მუხრანში, ახლა უკვე, მერვედ აღინიშნა და ამჯერად, მართლმადიდებლობის ზეიმს დაემთხვა, ეს დღე განსაკუთრებული აღმოჩნდა თავისი სულიერი მნიშვნელობით. სოფელში ერთი დღით ჩაბრძანდა ათი დიდი ქრისტიანული სიწმინდე, რომელთაგან რამდენიმე დაკავშირებულია წმიდა მოციქული სვიმონ კანანელის, წმიდა გიორგის, წმიდა პანტელეიმონის სახელებთან. მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვრის — მამა გიორგისათვის

**მოვინახულეთ პორტუგალიური პანოს ასლი მუხრანბატონის სასახლის ეზოში, მოვილოცეთ სოფლის ეკლესიები, მათ შორის, წმიდა ქეთევანის სახელობის მშენებარე სამონასტრო კომპლექსი, რომლის მშენებლობა მერვე წელიწადია შეჩერებულია. ტაძარში დამდგარმა წვიმის უკვე ხავსმოკიდებულმა გუბეებმა ცრემლებამდე შეგვაძრწუნა მნახველები. ეს სავალალო მდგომარეობა აუცილებლად ითხოვს ყურადღებას. მტკივნეულია იმის ნახვა და გააზრება, რომ ლამის აშენებული, მაგრამ დაუსრულებლად**

დიდმოწამე ქეთევანის წამების ამსახველი პანო ლისაბონის მონასტერში



**მიტოვებული ტაძარი წამებული დედოფლის ბედს იზიარებს. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ერშიც და ბერშიც, ჯერ კიდევ სათანადოდ არ გვაქვს გათავისებული ქეთევან დედოფლის მნიშვნელობა საქართველოსა და მსოფლიო ქრისტიანული სამყაროს ისტორიაში.**

საზოგადოების გამგეობის წევრის, პაატა შუბითიძის ინიციატივით, ამ დღეს საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ტრადიციას: „დარგე ქეთევან დედოფლის სახელზე.“ მშენებარე მონასტრის ეზოში, ქტიტორის, ზემოთ ხსენებული ფარჩუკიძეების ოჯახის დედის, ღირ-

და თამაზ და ვენერა სეხნიაშვილების ოჯახმა.

პარალელურად, დღესასწაულები აღინიშნა აგრეთვე მცხეთაში. სვეტიცხოველში ჩატარდა წმიდა ქეთევანისადმი მიძღვნილი პარაკლისი და საზეიმო მიღება.

დღესასწაულზე გავრცელდა „ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ ხელმძღვანელის მიერ შედგენილი და მწერალთა კავშირის მიერ გამოცემული საიუბილეო წლის კალენდარი, რომლიდანაც არაერთი საინტერესო ფაქტი შევიტყვეთ: მათ შორის, საგულისხმოა, რომ თურმე, სწორედ, 2017 წელს, როდესაც მუხრანში საფუძველი ჩაეყარა „გაზაფხულის ქეთევანობას,“ დედოფლის წმინდა ნაწილების განსასვენებელ ადგილზე, ინდოეთის ქალაქ გოაში, პირველად ჩატარდა „ქეთევანის მსოფლიო საკრალური მუსიკის ფესტივალი“ (KETEVAN World Sacred Music Festival), რომელიც ყოველწლიურია და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსები მონაწილეობენ. დასანანია, რომ ფესტივალის დამფუძნებელი და სამხატვრო დირექტორი — თეოლოგი, ფილოსოფოსი, უნიჭიერესი მუსიკოსი სანტიაგო ლუსარდი ჟირელი 2021 წელს, 42 წლის ასაკში, გარდაიცვალა.

„ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ სამომავლო გეგმებიდან, კალენდარში მინიშნებულ აქტივობებს შორის სოფელ მუხრანში დაგეგმილია „მადლიერების მემორიალის“ დადგმა, „რათა, მაესტრო ჟირელთან ერთად, პატივი მიეგოს ყველა იმ ქვეყნის მოქალაქეს, რომელთაც წვლილი მიუძღვის ქეთევან დედოფლის სახელის უკვდავყოფაში.“

გამოიცემა ქეთევან წამებულის ბიბლიოგრაფია — „ქეთევანოლოგია,“ მონოგრაფია, დედოფლისადმი მიძღვნილი მხატვრულ-პოეტური კრებული, საბავშვო წიგნი ქეთევან წამებულზე... რამდენიმე მხატვარი უკვე მუშაობს წმინდა ქეთევანის თემატიკაზე, მათ შორის, ვაჟა კაკაბაძე მალე დაასრულებს ტილოს უჩვეულო სახელწოდებით: „წმინდა ქეთევანის აღდგომა.“

ორიგინალურია ხსენებულ კალენდარზე გამოსახული „ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ ლოგო, – ოქროსფერი დედამიწა, რომლის ცენტრი გამშვენებულია წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის აქამდე მივიწყებული ხელრთვით. ვარსკვლავებით კი აღნიშნულია ევრაზიის ის ქალაქები, სადაც ინახება მისი წმინდა ნაწილები და მასთან დაკავშირებული სიწმინდეები, აგრეთვე, მისდამი მიძღვნილი სასულიერო, სამეცნიერო, ლიტერატურული და სახელოვნებო დარგების ქმნილებანი. ეს ქალაქებია: თბილისი, გოა, შირაზი, ადისაბება, ერევანი, სერგიევ პოსადი, რომი, ათენი, ლვოვი, ვარშავა, ბერლინი, პარიზი, ნამიური, ლონდონი, ედინბურგი, ამსტერდამი, მადრიდი, ლისაბონი.

**როგორც თამარ ფარჩუკიძე ამბობს, კვლევის პროცესში თანდათან მატულობს ქალაქების რიცხვი. გვჯერა კიდეც, რამეთუ ქეთევან დედოფლის საზოგადოება მისი ხელმძღვანელის დიდი რუდუნებით კვლავ აგრძელებს მსოფლიო ასპარეზზე დიდმოწამესთან დაკავშირებული ფაქტების მოძიებას. ევრაზიაში ქეთევანის პოპულარობისა და გათავისების დასტურია დიდმოწამე დედოფლის სახელის ნაირგვარი ფორმები, მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმინდანის მარიამად მოხსენიება.**

კალენდარში ვკითხულობთ: „ქეთევან წამებულის გმირობა იქცა იმხანად ფიზიკური გადაშენებისა და გადაგვარების წინაშე მდგარი ქართველობისა და სახელმწიფოებრივ-რელიგიური აზროვნების ნიშანსვეტად... ეროვნული შეგნების ამაღლების შთაგონებად, რასაც მოჰყვა მარტყოფისა და ბახტრიონის ბრძოლებში გამარჯვება, მარაბდელთა გმირობები.“ ეს ქეთევან დედოფლის ფენომენია!

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციებით ვგებულობთ, რომ „გაზაფხულის ქეთევანობის“ ახლად დაარსებული დღესასწაული თანდათან ინერგება და მხარდამჭერებს იკრებს საზღვარგარეთიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

**ლონდონში, სადაც 1633 წელს გამოიცა პირველი წიგნი ქეთევან წამებულის შესახებ, გაერთიანებული სამეფოს პირველმა ქართულმა სკოლამ (დამფუძნებელი ქალბატონი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი) დღესასწაულს მიუძღვნა გამოფენა, გაკვეთილი და პრეზენტაციები.**

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის თანამშრომელი, ბევრი კარგი საქმის ინიციატორი ქალბატონი მაია ტყემალაძე და ხალიფაურის საჯარო სკოლის მასწავლებელი ლელა გაფრინდაშვილი თავის მოსწავლეებთან ერთად.

საქართველოს ისტორიას მრავლად ჰყავს ეპოქალური მნიშვნელობის გმირები, რომელთა შორის განსაკუთრებულია ქეთევან წამებული. მისმა თავგანწირვამ ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი გადაწყვიტა. ასეთი გმირების ხსენება მუდმივად უნდა გვესმოდეს. გვჯერა, რომ „ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ მიერ წამოწყებული ეს ეროვნული საქმე მალე საერთო- სახალხო დღესასწაულად იქცევა, რასაც უსათუოდ სჭირდება ეკლესიისა და სახელმწიფოს მხარდაჭერა.

**ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ღონისძიების პათოსს, რომლის მიზანია ერთმანეთს შეეწყვილოს დიდი ქეთევანისა და სიცოცხლის მარადიული ზეიმის – გაზაფხულის სახელები. სტატიას კი ისევ საიუბილეო კალენდრიდან ამოღებული ციტატით დავასრულებთ: „დედოფლობასა და წამებით სიკვდილს შორის არჩევანისას, მან ბრძნულად განჭვრიტა, რომ იმჟამად, ქართველთა სარწმუნოებასა და ერთობას ჯვარცმის სიდიადის თავგანწირვაღა თუ გადაარჩენდა. ქეთევან დედოფლის ცხოვრება და ღვაწლი, მისი თვითშეწირვა ადამიანის სულიერი მისიისა და მოქალაქეობრივი მოვალეობის გაცნობიერების უნიკალური მაგალითია, რომელიც დღესაც რჩება ეროვნული მეობის შეგნების, სულიერი სრულყოფილების, მაღალი ადამიანური ღირსებების შენარჩუნებისათვის მოწოდებად. ჩვენ ვირჩევთ ქეთევანის გზას და თვისებებს. „ივერიის მნათობმა“ დედოფალმა გაგვინათოს გონება და მოგვმადლოს ერთსულოვნება, შეგვეწიოს სულიერ წინსვლასა და სამშობლოს მსახურებაში.“**

**„ქეთევან დედოფლის საზოგადოების“ გამგეობის წევრები:**

**ჯუმბერ აბრამია,**
**ქეთევან გოდერძიშვილი,**
**ალექსანდრე ციხელაშვილი.**

# კულტურის სამინისტროს საჩუქარი „სუხიშვილებს“



**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სსიპ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ დასს საჩუქრად ტრადიციული სასცენო სამოსი გადასცა.**

კულტურის სამინისტროსგან ანსამბლ „სუხიშვილებს“ გადაეცა 184 ერთეული სასცენო სამოსი, კერძოდ, 24 კომპლექტი ჩოხა, 50 ერთეული შარვალი, 50 ერთეული ახალუხი, 40 ცალი ყაბალახი, 20 ერთეული ხორუმის შარვალი. 2022 წელს კულტურის სამინისტროსგან ანსამბლ „სუხიშვილებს“ გადაეცა 212 ერთეული სასცენო სამოსი და აქსესუარი.

ახალი სასცენო სამოსი შეკერა ტენდერით შერჩეულმა კომპანია „ფაფანაკმა“, რომელთანაც კულტურის სამინისტრომ 2022 წელს 133 360 ლარი ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა.

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ სასცენო სამოსი შეკერა რვა ფოლკლორული ანსამბლის: „შავნაბადას“, „ადილეის“, „იალონის“, „მარგალიტის“, „გურჯაანის“, „მთიების“, ქ. ინეგოლის (თურქეთის რესპუბლიკა) ანსამბლისა და „სათანაოსთვის“. ეს ანსამბლები კულტურის სამინისტრომ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან თანამშრომლობით შეარჩია.

მაღალი ხარისხის, ინდივიდუალური ესკიზების მიხედვით შექმნილი ტრადიციული სასცენო სამოსის ნაკლებობა სახელმწიფო და კერძო ფოლკლორული ანსამბლების წინაშე არსებული ერთ-ერთი აქტუალური გამოწვევაა. დაახლოებით 15 წელია, სახელმწიფოს ანსამბლებისთვის ახალი სამოსი არ შეუძენია, სწორედ ამიტომ კულტურის სამინისტრომ 2021 წლის დეკემბერში გამოყო 197 999 ლარი და გამოცხადდა პირველი ტენდერი. 2022 წლის პირველ ნახევარში სასცენო სამოსი (70 კაბა და 277 ჩოხის კომპლექტი) შეიკერა 12 ანსამბლისთვის. 2023 წელს სასცენო სამოსის დასამზადებლად გამოიყო 146 068 ლარი და ათი ანსამბლისთვის სასცენო სამოსი (117 ჩოხა-ახალუხის კომპლექტი, ექვსი ხევსურული ჯუბა და 52 კაბის კომპლექტი) შეიკერა.



**რუსთავის მერიამ მეცნიერ შალვა ამონაშვილის აკადემიასთან ერთად, სკოლამდელი აღზრდის სფეროში ახალი პროექტის განხორციელება დაიწო.**

# ახალი პროექტი შალვა ამონაშვილის აკადემიასთან ერთად

პროექტი – „სკოლამდელ დაწესებულებათა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის ჰუმანიზაცია რუსთავში“, ქალაქის მერის ნინო ლაცაბიძისა და პედაგოგ შალვა ამონაშვილის ინიციატივით ხორციელდება.

პროექტის ფარგლებში ბავშვთა ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის ტრენინგ კურსი რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანების თანამშრომლისთვის დაიწყო და მას ქართული პედაგოგიკის ნოვატორი, აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი პირადად ხელმძღვანელობს.

**„ახალგაზრდა თაობის აღზრდა დღეს ჩიხში შევიდა, რადგან ჩვენ ვზრდით ისეთივე გამოცდილებით, რაც გვქონდა ათი, ოცი, ოცდაათი და უფრო მეტი წლის წინ. ვზრდით ერთი პრინციპით, კარგად მოიქცევი – მოგეფერები, ცუდად მოიქცევი – დაგსჯი. ასე არის ოჯახში, ასეა საბავშვო ბაღში და სკოლაში. შედეგად ვიღებთ დაჩაგრულ თაობას, რომელიც შეზღუდულია თავის აზროვნებაში, მოქმედებაში და თავის თავს ვერ ამკვიდრებს. ჰუმანური პედაგოგიკის ტრენინგ-კურსების გავლის შემდეგ ჩვენი რუსთაველი კოლეგები პირველ რიგში მიიღებენ ცნობიერების განვითარებას, ცნობიერების გაფართოებას. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვეტყვით, მათ იციან, მაგრამ აზრად არ მოსდით ამის გამოყენება. ჩვენ გვინდა მათი ცოდნის კრისტალად ქცევა და ჩვენება თუ როგორ შეიძლება ცხოვრებაში, კერძოდ პატარა ბავშვებთან შეტანა, თუ რა უნდა ვუთხრათ, რა ვათამაშოთ და როგორ მოვექცეთ, ხმა როგორ დავიყენოთ და ხელებიც კი როგორ ვამოძრაოთ მათთან ურთიერთობისას და აღზრდისას“**, – განაცხადა შალვა ამონაშვილმა. ლექციების კურსს რუსთავის ბაგა-ბაღების სააღმზრდელო პროცესში ჩართული 700 თანამშრომელი გაივლის.



# პატივი მიაგეს ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას



**ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ფოლკლორისტის, გურული საგალობლების მკვლევრისა და ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლის, ანზორ ერქომაიშვილის გარდაცვალებიდან სამი წელი გავიდა.**

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ზაზა შოშიტაიშვილმა ანზორ ერქომაიშვილის მემორიალური დაფა ყვავილებით შეამკო და მის ხსოვნას პატივი მიაგო.

# კულტურის სამინისტროსგან მცირედის შეიწირების...

**კულტურის სამინისტრომ კონკურსის – „ბავშვთა (საყმაწვილო) კერძო შემოქმედებითი სტუდიების ხელშეწყობა“ – გამარჯვებული პროექტები გამოავლინა.**

მათივე ინფორმაციით, კონკურსის მიზანია თბილისსა და რეგიონებში არსებული ბავშვთა/საყმაწვილო კერძო შემოქმედებითი სტუდიების აღსაზრდელთა ინტერესებს მორგებული გარემოს შექმნა, მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებისა და გამოვლენის ხელშეწყობა, სტუდიების პედაგოგებისა და მოზარდების მოტივაციის ამაღლება მომავალი პროფესიული კადრების მოსამზადებლად.

**„გამარჯვებული პროექტებია:**

**1. „სცენარიდან სცენამდე“; განმახორციელებელი ა(ა)იპ სტუდია „ასტეროიდი“. დაფინანსდა სტუდია-სახელოსნო „ასტეროიდის“ ბაზაზე საგანმანათლებლო-შემეცნებითი მასტერკლასების ჩატარება და, საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა.**

**2. ყვავილთა ინკლუზიური ხალხური დღესასწაული „არიფანა“; განმახორციელებელი ა(ა)იპ ინკლუზიური ცეკვის განვითარების ცენტრი. დაფინანსდა ყვავილთა ინკლუზიური ხალხური დღესასწაულის, „არიფანის“, მომზადება და გამართვა.**

**3. ,,მიყვარხარ ... გალ...“; განმახორციელებელი შპს „ბერიკები“ – თეატრალური სკოლა-სტუდია. დაფინანსდა თეატრალიზებული სანახაობის – „მიყვარხარ... გალ“ დადგმა.**

**4. „არტსახელოსნოს განვითარება“; განმახორციელებელი ა(ა)იპ „ჩვენი ბორჯომისათვის“. დაფინანსდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტუდია „არტსახელოსნოს“ მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის ტრენინგების/მასტერკლასების ჩატარება და გამოფენების მოწყობა.**

**კონკურსის ბიუჯეტი იყო 25 000 ლარი. სამინისტროს მომართა 14-მა კონკურსანტმა“**, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ევროპული ნარკოკრიმინალი ისევ მარსელიდან იწყება!



**საფრანგეთის ლამაზი ზღვისპირა ქალაქი მარსელი აფრიკელ მიგრანტთა მოზღვავებამ კრიმინალურ ქალაქად აქცია. სიდუხჭირისა და საზოგადოებაში ძნელად ინტეგრირების გამო, კრიმინალური ბანდების მიერ მიგრანტთა გადაბირება გაადვილდა. შარშან, მკვლელობებისა და სხვა მძიმე დანაშაულთა მიხედვით, მარსელი ევროპის ყველაზე სახიფათო ქალაქად დასახელდა.**

საფრანგეთის ნარკომაფია სწორედ აქ ბუდობს. ზოგადად, ამ ბოლო ხანებში, მთელს ევროპაში მომძლავრდა ნარკომაფია. რეკორდულად იზრდება ნარკოტიკების ნაკადი, რომელიც ევროპაში სხვა კონტინენტებიდან შედის. ნარკომაფიას საზღვაო პორტები სჭირდება: ანტვერპენი, როტერდამი, მარსელი... მარტო, 2021 წელს, ევროპელმა სამართალდამცველებმა 303 ტონა ნარკოტიკი ამოიღეს. ვარაუდობენ, რომ რეალურად არსებული რაოდენობა ორჯერ მეტია.

მარსელისგან განსხვავებით, სხვა საზღვაო ქალაქებში, კრიმინალური მდგომარეობა უფრო ადვილად კონტროლდება. მარსელი კი, ამ მხრივ, სამხრეთ-ამერიკულ ქალაქს დაემსგავსა: დღისით-მზისით, მის ქუჩებში, ბანდები დათარეშობენ. შარშან, მათ 49 ადამიანი მოკლეს და 123 დაჭრეს. ევროპისთვის, ეს უმძიმესი სტატისტიკაა. მარსელის მოსახლეობა საფრანგეთის ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვს. ხალხის დასამშვიდებლად, მარსელში ემანუელ მაკრონი ჩავიდა და ნარკოტრაფიკის შესაჩერებლი უპრეცედენტო ოპერაცია გამოაცხადა. მოგვიანებით, საზოგადოებას ტვიტერითაც აცნობა ქვეყანაში წესრიგის უზრუნველყოფის შესახებ. ოპერაციას „სუფთა-სივრცე-XX" დაერქვა. პრეზიდენტის ბრძანებით, მარსელისა და მისი შემოგარენის გასაკონტროლებლად, დამატებით, ოთხი-ათასამდე პოლიციელის მობილიზება მოხდა, არაერთი რეიდი ჩატარდა და დამნაშავეებიც აიყვანეს, მაგრამ, მარსელის მოსახლეობა მაინც უკმაყოფილოა. მათი აზრით, ასეთი ზომები პრობლემას ვერ აღმოფხვრის.

მარსელში, იმდენად ღრმად გაიდგა ფესვი ნარკომაფიამ, რომ აქ უფრო სერიოზული და გრძელვადიანი ზომების მიღებაა საჭირო. მაკრონი უფრო, იმიტომ ანერვიულდა, რომ ზაფხულში, მარსელში, საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ნაწილი უნდა გაიმართოს, და პრეზიდენტს საკუთარი და ქვეყნის იმიჯის შელახვა არ სურს. ასე ამბობენ მარსელის მკვიდრნი. ისინი ფიქრობენ, რომ მაკრონს სულ არ აინტერესებს მათი ქალაქის პრობლემები. მდგომარეობა რომ მართლა რთულია, ფრანგი სამართალდამცველებიც აღიარებენ. მათი თქმით, მარსელის ბანდები, უკვე, საფრანგეთის რივიერას მთლიანად აკონტროლებენ.

მარსელის ღარიბთა უბნებში, მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ პოლიცია იქ შესვლას თავს არიდებს. მაგალითად, ქალაქის ერთ-ერთ ასეთ უბანში, ბანდებს შორის მრავალსაათიანი სროლები რომ იყო, პოლიციამ ჩარევა ვერ გაბედა. ექსპერტები საფრანგეთის მთავრობისგან რადიკალური ზომების მიღებას ითხოვენ, 1990-იან წლებში იტალიაში ჩატარებული ანტიმაფიური პოლიციური ზომების მაგვარს. ან ეკვადორის პრეზიდენტ ბუკელელეს მიერ გატარებული რადიკალური ზომების ანალოგს. საფრანგეთის მთავრობა, ჯერჯერობით, დუმს. ჟურნალისტებმა კი, მარსელს, მწარე ირონიით, ნარკოვილი, ანუ ნარკო ქალაქი დაარქვეს. მათი აზრით, ასე თუ გაგრძელდა, საფრანგეთს მექსიკიზაცია, ანუ ნარკომაფიის უკონტროლო თარეში ელოდება.

# სუროგაცია და... აღრეული გენეტიკა

**გაეროს ქალთა უფლებების დაცვის კომისიის ეგიდით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ქალთა უფლებების საკითხზე, კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებათა მთელი სერია ჩატარდა, რომლის მთავარი თემა სუროგაცია იყო. საკითხთან დაკავშირებით, ვატიკანმა და გაერომ ერთობლივი დისკუსია გამართა. ღონისძიებებში სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები და ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები მონაწილეობდნენ.**

კათოლიკური ეკლესია მკაცრად გმობს სუროგაციას. უფრო მეტიც, რომის პაპმა კაცობრიობას სუროგაციის აკრძალვისკენ მოუწოდა. სუროგაცია საყოველთაო სენსიტიური თემაა, რომელიც აზრთა მკვეთრ სხვადასხვაობასა და ვნებათაღელვას იწვევს. სუროგაცია ერთერთი დამხმარე რეპროდუქციული საშუალებაა, რომელსაც მაშინ მიმართავენ, როცა ქალს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ ძალუძს ნაყოფის ტარება და მშობიარობა. სუროგაცია გულისხმობს ემბრიონის მიღებას ინვიტრო განაყოფიერების გზით, როცა ბიოლოგიური დედის კვერცხუჯრედს ბიოლოგიური მამის სპერმატოზოიდით ანაყოფიერებენ, რის შემდეგ, განაყოფიერებული ემბრიონი სუროგატი დედის საშვილოსნოში გადააქვთ. ბავშვს სუროგატი დედა ატარებს, რომელსაც მასთან გენეტიკური კავშირი არ აქვს. სუროგაცია, პირველად მსოფლიოში, 1976 წელს, ამერიკაში ჩატარდა. მიზეზთა გამო, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სუროგაცია აკრძალულია, რადგან ფიქრობენ, რომ ის მორალურ-ეთიკურ ნორმებს არღვევს, ბავშვთა და ქალთა უფლებებს ბღალავს. ეს განსაკუთრებით სუროგაციის კომერციალიზაციას ეხება, როცა მდიდარი, შვილის ყოლის მიზნით, ღარიბის ორგანიზმს ყიდულობს, როგორც მისთვის საჭირო ჭურჭელს.

სუროგატ დედათა უმრავლესობა ამ ნაბიჯზე უმძიმესი სოციალური მდგომარეობის გამო მიდის, ანუ იძულებულია ასე მოიქცეს. სუროგაციამ, მსოფლიო მასშტაბით, რეპროდუქციული ტურიზმი განავითარა. სუროგაცია სხვაგვარ ეჭვსაც იწვევს. მაგალითად, ევროპის ბევრ ქვეყანში, მისი აკრძალვის ერთერთი მიზეზი დედობის დადასტურების პრობლემაა. მათი აზრით, სუროგატი დედა, რომელიც 9 თვე სხვის ემბრიონს ატარებს, გენეტიკურ ზემოქმედებას ახდენს ნაყოფზე.

მსოფლიოს თითქმის ყველა რელიგია, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, უარყოფითად აფასებს სუროგაციას. ერთ-ერთ კონფერენციაზე, სუროგაციის თემაზე, რომის პაპის ოფიციალური წარმომადგენელი, არქიეპისკოპოსი გაბრიელე კაჩა გამოვიდა, რომელმაც თქვა, რომ სამართლიანმა საზოგადოებამ არ უნდა მოითმინოს დედის მატერიალური მდგომარეობის გამოყენებაზე დაფუძნებული პრაქტიკა. ქალის სხეული არ უნდა იყოს ვაჭრობის საგანი. ბავშვის ყიდვა იქნება ეს თუ ქალის ორგანიზმის, ორივე არაეთიკურია, განაცხადა გაბრიელე კაჩამ. მან ყველას მოუწოდა, რომ ყველაფერი გააკეთონ შვილის ყოლის ამ მეთოდის ასაკრძალად. სამაგალითოდ ის ქვეყნები დაასახელა, სადაც სუროგაცია სისხლის სამართლის წესით ისჯება.

**ნუგზარ ბ. რუხაძე.** POSTV



# როგორ ძლიერდება კადიროვის გავლენა ქართულ პანკისში...

**ცოტა ხნის წინ უცხოეთში მცხოვრებ ჩეჩენ ბლოგერებს ხელში ჩაუვარდათ პანკისის ხეობის ერთ–ერთ მეჩეთში ახლად დანიშნული იმამის ტიხარ დაუშვილის ხმოვანი შეტყობინება, რომელშიც ის ჩეჩნეთის მთავრობას მადლობას უხდის „დახმარებისთვის" და ჰპირდება, რომ ახალგაზრდებს „ისლამის სწორად გაგებას" ასწავლის. არც თუ დიდი ხნის წინ, ეს სკანდალის საფუძველი გახდებოდა რამზან კადიროვისა და რუსეთის მიმართ მკვეთრად უარყოფითი განწყობებით გამორჩეულ ხეობაში, სადაც, არსებული ცნობებით, დიდი ხანია, საყრდენების მოძიებას ცდილობს ჩეჩნეთის კრემლის მიერ ხელდასხმული ლიდერი. შეიცვალა რამე ამ მიმართულებით? რა ინტერესი აქვს კადიროვს? როგორ რეაგირებენ ქართული სპეცსამსახურები, რომელთა აქტივობებზეც ხშირად ჩივიან, მათ შორის, პანკისის მკვიდრებიც? – ამ და სხვა საკითხებზე „აქცენტი" კავკასიოლოგ ბელა ხმალაძეს ესაუბრა.**

**კავკასიოლოგი გვეუბნება, რომ დაუშვილი საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს გავლით დაინიშნა სოფელ ომალოში, მეჩეთის იმამად, თუმცა „მას არაფორმალური კავშირები აქვს ჩეჩნეთში, ჩეჩნეთის მუსლიმთა სამმართველოსთან და ცდილობს, იქიდანაც მიიღოს მორალური და შესაძლოა, მატერიალური მხარდაჭერაც".**

– სხვა საკითხია, რომ ჩეჩნური (იგივე რუსული) მხარე შეეცდება, ეს საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენოს – ამგვარი საფრთხე ყოველთვის იქნება. ქისტები ეთნიკურად ჩეჩნები არიან და როგორც ხსენებული იმამი, ასევე ბევრი ქისტი ცდილობს, რომ კადიროვის ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა იქონიოს. სხვათა შორის, ბევრი ქისტი ცხოვრობს ჩეჩნეთში – 1500-მდე პანკისიდანაა წასული, არსებობს ნათესაური კავშირები, ყველა ცდილობს, ურთიერთობა არ გაირთულოს. ამიტომ, ეს სიახლეები არ მაკვირვებს, მით უმეტეს, რომ ახალი იმამი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდა ჩეჩნეთში და ღმერთმა იცის, რა კავშირები აქვს, ვისთან აქვს პირადი ურთიერთობები. ფაქტია, ცდილობს, კარგი ურთიერთობები იქონიოს ჩეჩნურ მხარესთან. მან შეიძლება ისეთი იდეები იქადაგოს და გაავრცელოს, მათ შორის, პოლიტიკური, რაც კადიროვს აწყობს.

**– და ახალგაზრდების ცნობიერების ფორმირებას შეუწყოს ხელი?**

– ახალგაზრდების ნაკლებად, რადგან ისინი ძირითადად სალაფიტები (ისლამის მიმდინარეობა – რედ.) არიან და იმ მეჩეთში, სადაც ახალი იმამი მსახურობს, არც კი შედიან. ცოტა ახალგაზრდაა ტრადიციული ისლამის გავლენის ქვეშ. მაგრამ საფრთხეა, მისმა საქმიანობამ ხეობაზე პოლიტიკურ–იდეოლოგიური გავლენა მოახდინოს, რაც რუსეთის ინტერესებშია.

**– ვიცით, რომ ხეობაში კადიროვის მიმართ, რომელიც რუსეთის ხელისუფლებასთან ასოცირდება, მკვეთრად უარყოფითი განწყობები იყო და ამ მხრივ ცვლილებები შეინიშნება?**

– ცხადია, პანკისში ჯერ კიდევ 90–იანი წლებიდან არიან ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მხარდამჭერები, მაგრამ დიდი დრო გავიდა, ახალი პოლიტიკური რეალიები შემოდის, დუდაევის და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის იდეა ისტორიას ჩაბარდა, ქისტებიც ხედავენ, რომ ახლო მომავალში ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა არარეალურია, ამასთან, კადიროვის ხელში უზარმაზარი ფინანსური შესაძლებლობებია. დროთა განმავლობაში იცვლება კადიროვის ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებაც – ისეთი რადიკალური და უარყოფითი აღარ არის. ამდენად, ამ მიმართულებითაც ცვლილებებია – თუ ადრე დუდაევის კულტი არსებობდა, დღეს ასეთი რამ აღარ არის. საბჭოთა რეჟიმის გაუქმების შემდეგ უფრო გაძლიერდა ჩეჩნეთთან მიმოსვლა – ქისტები მიდიან, ბიზნესკონტაქტებია, ცდილობენ, კადიროვის ხელისუფლებასთან (ანუ, რუსეთთან) ურთიერთობები დაალაგონ, შეინარჩუნონ სტაბილურობა და უპრობლემოდ იარონ რუსეთში. სხვათა შორის, უამრავი ქისტი ცხოვრობს არა მხოლოდ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, მოსკოვშიც და საკმაოდ წარმატებულებიც არიან.

**– განურჩევლად თაობისა?**

– ახალგაზრდა სალაფიტებს არანაირი დადებითი განწყობები არ აქვთ რუსეთის მიმართ, მაგრამ დანარჩენი მოსახლეობა ცდილობს, შეეგუოს არსებულ ვითარებას და ისტორიულ სამშობლოსთან (ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან) ნორმალური საქმიანი ურთიერთობა ჰქონდეს.

**– და ეს ვიზიტები პოლიტიკური გავლენისგან არის დაზღვეული?**

– ცხადია, არა – ფინანსურ და ეკონომიკურ გავლენას ყოველთვის თან სდევს პოლიტიკური გავლენა და უსაფრთხოება, მით უმეტეს, როდესაც რუსეთთან გვაქვს საქმე. ყველაფერი იწყება ბიზნესით, ეკონომიკით...

**– კვლავ იმამს რომ დავუბრუნდეთ. ჩანაწერში მადლობას უხდის ჩეჩნეთის ხელისუფლებას და ახალგაზრდების „აღზრდას" ჰპირდება. გაქვთ ინფორმაცია, რაში გამოიხატა ეს დახმარება და რას გულისხმობს მის მიერ ნახსენები „აღზრდა"?**

– დაზუსტებით არ ვიცი, მაგრამ ლოგიკურად რომ წარმოვიდგინოთ, ალბათ მორალურ და ფინანსურ მხარდაჭერაში. აღზრდაში კი ალბათ გულისხმობს ისლამის იმ მიმართულებით აღზრდას, რომელიც ჩეჩნეთშია და რა მეთოდების გამოყენებითაც ზრდიან ჩეჩნეთში ახალ თაობას.

**– დიდი ხანია, გვესმის წუხილები მუსლიმთა სამმართველოს საქმიანობაში ქართული სპეცსამსახურების ჩარევის თაობაზე და იმაზეც, რომ მათ შორის, პანკისის რეგიონში სწორედ სპეცსამსახურების ხაზით წყდება მთელი რიგი საკითხები. აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან იმ აქტივობების შესახებ, რაზეც ახლა მე და თქვენ ვსაუბრობთ?**

– აბსოლუტურად.

**– მაშ, რატომ შედის მსგავსი რამის დაშვება მათ ინტერესში?**

– არ მგონია, მათ ინტერესში იყოს ისეთი იმამის ყოფნა ხეობაში, რომელიც კადიროვის მფარველობით სარგებლობს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჯერჯერობით ხელს არ უშლიან...

**– და თავად კადიროვის ინტერესი რაში მდგომარეობს? სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ იყო ცნობები, რომ კადიროვი ხეობაში „ხელებს აფათურებდა" და რომ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მას ღიად მოიხსენიებდნენ დადებითად, რამაც ადგილობრივები აღაშფოთა...**

– დიდი ხანია, კადიროვს აქვს ამბიცია, იყოს არა მხოლოდ ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაური, არამედ ყველა ჩეჩნის, აკონტროლოს ყველა ჩეჩენი, განურჩევლად იმისა, სად ცხოვრობენ ისინი, ცდილობს, მის კონტროლს დაუქვემდებაროს ყველა ჩეჩნური დიასპორა, გაზარდოს საკუთარი პოლიტიკური წონა. ამდენად, ლოგიკურია, რომ პანკისში მცხოვრებ როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება რიგ დეტალებზე თვალს ხუჭავს, როგორც ზოგადად რუსეთთან ურთიერთობებში ვხედავთ დათმობებს. ალბათ, ამ შემთხვევაში თვლიან, რომ ეს დასაშვებია და საქართველოსთვის „საქმეს არ გააფუჭებს". არის რისკი, გაძლიერდეს რუსეთთან კავშირის თაობაზე პროპაგანდა და საზოგადოებაში გაჩნდეს დიქტატურაში გადასული რეჟიმის გამართლების ტენდენცია – რეჟიმის, რომლისთვისაც ადამიანის სიცოცხლეს ფასი არ აქვს – ადამიანები ყოველგვარი გამოძიების და სასამართლოს გარეშე ქრებიან და ერთი პირის ნებაზეა დამოკიდებული ყველაფერი. არასასურველი პოლიტიკურ–იდეოლოგიური გავლენა, ეს არის ძირითადი რისკი. მაგრამ მჯერა, რომ ერთი იმამი, ვინც არ უნდა იყოს ის, რადიკალურად ვერ შეცვლის ვითარებას და საქართველოს ინტერესებს გამოუსწორებელ ზიანს ვერ მიაყენებს, თუ სპეცსამსახურები თავიანთ სიმაღლეზე იდგებიან.

**– ზოგადად, ყველაფერი იწყება ტენდენციებით და შემდეგ ვითარდება...**

– დიახ და ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებას ყველა ბერკეტი აქვს, აქვს რესურსი, აღკვეთოს ნებისმიერი არასასურველი აქტივობა, მთავარია, იყოს პოლიტიკური ნება. შემაჯამებლად რომ ვთქვა, იმისგან, რაც დღეს ხდება, ამ ეტაპზე ტრაგედიას არ შევქმნიდი.

**„აქცენტი"**



# ისრაელელებმა ბაიდენი განარისხეს...

**აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა აღნიშნა, რომ აღშფოთებულია ისრაელის მხრიდან ღაზაში განხორციელებული თავდასხმის გამო, რომელსაც საქველმოქმედო ორგანიზაციის, „მსოფლიოს ცენტრალური სამზარეულოს“ შვიდი თანამშრომელი ემსხვერპლა.** ბაიდენის თქმით, ისრაელმა არ გააკეთა საკმარისი მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად.

**„ისინი აწვდიდნენ საკვებს მშიერ მშვიდობიან მოსახლეობას ომის შუაგულში. ისინი იყვნენ მამაცი და თავგანწირული ადამიანები. მათი სიკვდილი ტრაგედიაა“,** – აღნიშნა ბაიდენმა გავრცელებულ განცხადებაში. ამერიკის პრეზიდენტის განცხადებით, ისრაელმა პირობა დადო, რომ ჩაატარებს საფუძვლიან გამოძიებას მომხდართან დაკავშირებით, თუმცა ბაიდენმა დასძინა, რომ გამოძიება უნდა იყოს სწრაფი, უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი და დასკვნები გასაჯაროვდეს.

# უკრაინაში მობილიზაციის ასაკი 25 წლამდე შემცირდა



უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხელი მოაწერა კანონს, რომლითაც სამხედრო მობილიზაციის ასაკი 27-დან 25 წლამდე შემცირდება.

**„გაწვევისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ შესაბამისი კანონპროექტის №9281 ბარათში აღნიშნულია, რომ 2 აპრილს კანონი პრეზიდენტის ხელმოწერით დაუბრუნდა უმაღლეს რადას“,** – აღნიშნულია რადას განცხადებაში. განცხადებაში ნათქვამია, რომ რადამ კანონპროექტს 2023 წლის 30 მაისს დაუჭირა მხარი და ამის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის ხელმოწერას ელოდნენ.



## ალექსანდრ ლუკაშენკო:

# ჩვენ ომისთვის ვემზადებით!

ჩვენ ომისთვის ვემზადებით, **„მშვიდობა თუ გინდა, ემზადე ომისთვის“,** – ამის შესახებ ბელარუსის პრეზიდენტმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ ქვეყნის დასავლეთით მდებარე ქალაქ გროდნოში სამუშაო ვიზიტისას განაცხადა.

**„არავის დაუჯეროთ, რომ ჩვენ ომი გვინდა. ჩვენ ვემზადებით ომისთვის, ამის შესახებ გულწრფელად ვამბობ. „მშვიდობა თუ გინდა, ემზადე ომისთვის“ – ეს მე არ მომიგონია. ეს ძალიან სწორად ნათქვამია“,** – განაცხადა ლუკაშენკომ.

ბელარუსის ლიდერის თქმით, ქვეყანაში მიმდინარეობს შესაბამისი დანაყოფების აუცილებელი მომზადება, შეიარაღებულ ძალებს სხვადასხვა სახის შეიარაღებას და ტექნიკას აწვდიან. ამასთან, მისი თქმით, ბელარუსი არავის ემუქრება. **„ჩვენ არ გვჭირდება ვინმეს მიმართ მუქარა. ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა. უფლის დახმარებით, ნეტავ ეს მიწა დაგვამუშავებინა“,** – განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა.

# ძლიერი მიწისძვრა ტაივანში



**ტაივანის აღმოსავლეთ სანაპიროსთან 7,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დადასტურდა. მიწისძვრის შედეგად, სულ მცირე, ოთხი ადამიანი დაიღუპა, ხოლო 57 დაშავდა.**

მიწისძვრის ეპიცენტრთან ყველაზე ახლოს მდებარე ქალაქში ორი შენობა ჩამოინგრა. ამ დრომდე მიმდინარეობს ევაკუაციის პროცესი. ამასთან, ტაივანის მეზობელ ქვეყნებში ცუნამის საფრთხე გამოცხადდა. სეისმოლოგების შეფასებით, ეს ტაივანში ყველაზე ძლიერი მიწისძვრაა ბოლო 25 წლის განმავლობაში.

---

# განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

## სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ხუმფრერზე შპს „ხუმპრერი ჰესის“ 6.76 მგვტ. სიმძლავრის ხუმფრერი 1 და 26.37 მგვტ. სიმძლავრის ხუმფრერი 2 ჰესების კასკადის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 19 აპრილი, 13:00 საათი, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. დიზის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **24 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32 გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 29 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს სალომე ჯიქიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სალომე ჯიქიძე (პ/ნ 60001136685), ქუთაისი, გ. მაისურაძის ქ. №11, ბინა №11

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
წყალტუბო, სოფელი ჭოლები, მე-3 ქუჩა №17 (საკადასტრო კოდი: 29.06.33.034).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12359.81 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 3 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 17 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP97422024;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 974220

6. **მოვალე:** სალომე ჯიქიძე (პ/ნ 60001136685), ქუთაისი, გ. მაისურაძის ქ. №11, ბინა №11
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP97422024; ლოტის ნომერი: 974220).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 17 აპრილის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველი აუქციონს ვერიკო შუბითიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვერიკო შუბითიძე (პ/ნ 14001006508), ყვარელი, ს. ბალღოჯიანი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ყვარელი, ს. ბალღოჯიანი (საკადასტრო კოდი: 57.02.70.000.238 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 31945.27 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 3 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 17 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP97422124;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 974221

6. **მოვალე:** ვერიკო შუბითიძე (პ/ნ 14001006508), ყვარელი, ს. ბალღოჯიანი;
ლევან ბუზალაძე (პ/ნ 45001032297), ყვარელი, ს. ბალღოჯიანი
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP97422124; ლოტის ნომერი: 974221).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 17 აპრილის 12:00 საათამდე.

№40. ხუთშაბათი, 4 აპრილი, 2024 წელი.

# ოპოზიცია ცაიტნოტში

**ცხელი ზაფხულიც მალე მოვა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ ძალთა ბალანსის გათვალისწინებით, სამარცხვინო ოპოზიციას გაცილებით მღუღარე სეზონი ელის, რაც ასახვას უკვე პოულობს, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევრო – 2024-ის ფინალურ რაუნდში თამაშის უფლება პირველად მოიპოვა და მორიგი საამაყო საჩუქრით ქომაგთა გახარებას გერმანიის სტადიონებზე შეეცდება.**

საუბარია სპორტულად მეტისმეტად გადატვირთულ კალენდარზე, რომელიც ისედაც სულთმობრძავ დესტრუქციულ კოლექტიურ ნაცმოძრაობას ანტისახელმწიფოებრივი საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად და მეტისმეტად „მჭლე“ რეიტინგის გამოსაცოცხლებლად ცაიტნოტში აგდებს.

დიახ, ძნელია ნეკროლოგი არ გამოაცხო ანტიეროვნული აგიტპრომისთვის სამძიმრის გამოსაცხადებლად, რადგან მალე მარადმწვანე პოლიტიკან-ორატორთა დემაგოგიის მოსასმენად, ზოგადად სამშობლოსა და კონკრეტულად დედაქალაქში, თითქმის აღარავის ეცლება.

მართლაც, როგორ გინდა შეკრიბო აუდიტორია, მეტადრე – ახალგაზრდობა მასობრივ თავყრილობებზე, როცა ჯერ სტუდენტური არდადეგები დაიწყება, შემდეგ –ზემოთ უკვე ნახსენები ისტორიული კონტინენტური ერთთვიანი ფორუმი და ბოლოს – ასევე ხანგრძლივი პარიზის ოლიმპიური თამაშები. აღარაფერს ვამბობთ ბორჯღალოსანთა საზაფხულო ტესტებზე და საკალათბურთო ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე.

დაუმატეთ ამას ყოველივეს მარათონული ეგრეთ წოდებული ხავერდოვანი საშვებულებო სეზონი და კარს ოქტომბერიც მოგვადგება, როცა საბოლოოდ უნდა გაფორმდეს ყოფილი ფაშისტური ხელისუფლების ჩაქვესკნელება.

დაგვეთანხმებით, სავსებით საფუძვლიანი არგუმენტები არსებობს საიმისოდ, რომ ეშმაკის მოციქულნი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ახლა კი, მოდით, უშუალოდ საფეხბურთო ბატალიებს დავუბრუნდეთ – ევროპის დამდეგი ჩემპიონატის კალენდარს გავეცნოთ.



### ჯგუფური ეტაპი
### I ტური.

**14 ივნისი**. გერმანია – შოტლანდია. 23.00.
**15 ივნისი.** უნგრეთი – შვეიცარია. 17.00.
ესპანეთი – ხორვატეთი. 20.00
იტალია – ალბანეთი. 23.00.
**16 ივნისი.** პოლონეთი – ნიდერლანდები. 17.00.
სლოვენია – დანია. 20.00.
სერბეთი – ინგლისი. 23.00.
**17 ივნისი.** რუმინეთი – უკრაინა. 17.00.
ბელგია – სლოვაკეთი. 20.00.
ავსტრია – საფრანგეთი. 23.00.
**18 ივნისი.** თურქეთი – საქართველო. 20.00.
პორტუგალია – ჩეხეთი. 23.00.

### II ტური.

**19 ივნისი.** ხორვატეთი – ალბანეთი. 17.00.
გერმანია – უნგრეთი. 20.00.
შოტლანდია – შვეიცარია. 23.00.
20 ივნისი. სლოვენია – სერბეთი. 17.00.
დანია – ინგლისი. 20.00.
ესპანეთი – იტალია. 23.00.
**21 ივნისი.** სლოვაკეთი – უკრაინა. 17.00.
პოლონეთი – ავსტრია. 20.00.
ნიდერლანდები – საფრანგეთი. 23.00.
**22. ივნისი.** საქართველო – ჩეხეთი. 17.00.
თურქეთი – პორტუგალია. 20.00.
ბელგია – რუმინეთი. 23.00.

### III ტური.

**23 ივნისი**. შოტლანდია – უნგრეთი. 23.00.
შვეიცარია – გერმანია. 23.00.
**24 ივნისი.** ხორვატეთი – იტალია. 23.00.
ალბანეთი – ესპანეთი. 23.00.
**25 ივნისი.** ნიდერლანდები – ავსტრია. 20.00. საფრანგეთი – პოლონეთი. 20.00. დანია – სერბეთი. 23.00. ინგლისი – სლოვენია. 23.00.
**26 ივნისი.** სლოვაკეთი – რუმინეთი. 20.00.
უკრაინა – ბელგია. 20.00.
საქართველო – პორტუგალია. 23.00.
ჩეხეთი – თურქეთი. 23.00.

### მერვედფინალები.
29 და 30 ივნისი, 1 და 2 ივლისი.

### მეოთხედფინალები.
5 და 6 ივლისი.

### ნახევარფინალები.
9 და 10 ივლისი.

### ფინალი.
**14 ივლისი.**

დავძენთ, რომ საქართველო მეტოქეებს დორტმუნდში, ჰამბურგსა და გელზენკირხენში შეხვდება.

დასასრულს, ისევ იმ თემის შესახებ, რითაც დავიწყეთ: პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა ჩვენი გულღრძო ოპოზიციის კიდევ ერთ ლუსტრაციად იქცა, რომელმაც ვერც ამჯერად დამალა საკუთარი კონვულსიები ჯვაროსანთა ჯერარნახული აღზევებით. საუბარია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის – **შალვა პაპუაშვილის** კოლეგებისადმი მოწოდებაზე – პატივი მიეგოთ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისადმი და, როგორც მოსალოდნელი იყო, ოპოზიცია ფეხზე არ წამოდგა. ვაი, სირცხვილო!

**გია პლატონიშვილი.**

---

◉ მეფური საჩუქარი

## კვარას – ნონასაგან

ლეგენდარულმა ქართველმა მოჭადრაკემ, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა **ნონა გაფრინდაშვილმა ხვიჩა კვარაცხელიას** მშობლებს ბადრი კვარაცხელიას და მაკა ლუკავას თავისი საკოლექციო ჭადრაკიდან „ქართული ცეკვა“ სამახსოვროდ მეფის ფიგურა გადასცა. ჭადრაკის დაფაზე მეფე ცენტრალური ფიგურაა და ამ სამახსოვრო საჩუქარს სწორედ ეს სიმბოლური დატვირთვა აქვს.



ნონამ ხვიჩას უსურვა, რომ მომავალშიც წარმატებით გააგრძელოს მოედანზე წამყვანი როლის შესრულება, გზავნილი კი ასეთი იყო: „როგორც მეფეა ჭადრაკის დაფაზე, ისე იყავი მოედანზე!“

---

◉ ლეგიონერი

## მამარდას მარტი

**„ვალენსიას“ მეკარე გიორგი მამარდაშვილი ლა ლიგის მარტის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.**

ქართველი კარის დარაჯი სტატისტიკის ვებ-გვერდმა Whoscored-მა გამოარჩია და მას საშუალო შეფასებად 7.6 ქულა ერგო. მარტში გიორგიმ „ვალენსიას“ რიგებში 4 მატჩი ჩაატარა და ორჯერ კარი მშრალად შეინახა.

შეგახსენებთ, როიმ გიორგი მამარდაშვილმა ლა ლიგის მიმდინარე სეზონში 29 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, კარი მშრალად 10-ჯერ შეინახა და 32 გოლი გაუშვა. „ღამურები“ მომდევნო შეხვედრას „გრანადასთან“ გამართავენ.



---

# ორიოდე სიტყვით

**ტაილანდში მიმდინარე მსოფლიო თასზე 61 კგ. წონით კატეგორიაში პარიზის ოლიმპიური თამაშების სავალდებულო სალიცენზიო ჩასათვლელ ტურნირზე შოთა მიშველიძე წარსდგა.**

ქართველმა ძალოსანმა ატაცში 130 კგ. დაძლია, მე-8 ადგილზე გავიდა, აკვრაში დაძლეული 152 კილოგრამით კი მე-14 საფეხურზე დამკვიდრდა. მიშველიძემ ორჭიდში მოგროვილი 282 კილოგრამით მე-12 ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ მიშველიძემ მსოფლიო თასზე სავალდებულო სალიცენზიო ჩათვლა დაძლია და ახლა უკვე ლიცენზიის ოფიციალურ დასტურს ელოდება.

* * *

**ზურაბ ზურაბიანი პარა ძიუდოში ანტალიის 2024 წლის გრან პრის გათამაშების მესამე პრიზიორია.**

ჩვენმა ფალავანმა (60კგ) მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ალჟირელ მოწინააღმდეგეს სძლია და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

საქართველოს პარა ძიუდოს ნაკრები განაგრძობს ასპარეზობას ანტალიის გრან პრიზე ხვალ თურქულ ტატამზე ზვიად გოგოჭური და ლაშა ყიზილაშვილი იბრძოლებენ მაღალი სინჯის მედლების მოსაპოვებლად.

* * *

**„დიდი სლემის“ რვაგზის გამარჯვებულმა, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა ანდრე აგასიმ სოციალურ ქსელში მაიამის „ინტერის“ საფეხბურთო კლუბის მფლობელთან დევიდ ბექჰემთან ერთობლივი ფოტო გამოაქვეყნა.**

როგორც ჩანს, აგასი და ბექჰემი ერთად თამაშობდნენ პიკლბოლს (სპორტი, რომელიც აერთიანებს ბადმინტონის, ჩოგბურთის და მაგიდის ჩოგბურთის ელემენტებს).

„სასიამოვნო იყო“, – მიაწერა ანდრემ ფოტოს.



აგასი მაიამის WTA – 1000 ტურნირის ფინალზეც შენიშნეს, სადაც თავად ანდრემ ექვსჯერ მოიგო ვაჟთა სინგლის შეჯიბრი. აგასი თავის ლეგენდარულ მეუღლესთან, „დიდი სლემის“ 22-გზის ჩემპიონ გერმანელ შტეფი გრაფთან და მათ შვილებთან ერთად ლასვეგასში ცხოვრობს.

* * *

**ზედიზედ მე-2 მატჩია სანდრო მამუკელაშვილს სოლიდურ სათამაშო დროს აძლევენ და ქართველი ფორვარდიც საკუთარ შესაძლებლობებს ღირსეულად წარმოაჩენს. 2 დღის წინათ „გოლდენ სტეიტთან“ შესრულებული ორმაგი დუბლის შემდეგ სანდროს იგივე შედეგის გამეორებამდე ერთადერთი მოხსნა დააკლდა. ეს მოხდა დენვერში ნაგეთსთან გამართულ შეხვედრაში, რომელიც „სან ანტონიომ“ მძაფრ ბრძოლაში 105:110 დათმო.**

საქართველოს ნაკრების კალათბურთელი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. მან პარკეტზე 24 წუთი გაატარა, რა დროშიც 10 ქულა, 9 მოხსნა და 1 პასი დააგროვა. სანდრომ 8-დან 5 სროლა გამოიყენა, რომელთაგანაც 4-დან ორი სამქულიანი, 4-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

ტეხასელთაგან საუკეთესო ვიქტორ ვემბანიამა იყო, რომელსაც ოთხმაგ დუბლამდე ძალიან ცოტა დააკლდა: 23 ქულა, 15 მოხსნა, 8 პასი, 5 დაფარება. „დენვერის“, შემადგენლობაში კი 42 ქულითა და 16 მოხსნით ტრადიციულად ნიკოლა იოკიჩი გამოირჩა.

მომდევნო მატჩს მამუკელაშვილის გუნდი 6 აპრილს ნიუ ორლეანში „პელიკანსის“ წინააღმდეგ ჩაატარებს.

# მალე კლინიკები ექთნებისგან დაიცლებიან!!!

**მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ბიუჯეტში საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გამიზნული თანხა ბოლო დროს წლიდან წლამდე იზრდება — თანაც საგრძნობლად! — პრობლემების ოდენობა და სიმწვავე საზოგადოებრივი ყოფის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში ასევე წლიდან წლამდე მატულობს. ამ ჯერზე მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, კლინიკებში საშუალო სამედიცინო პერსონალის მწვავე დეფიციტსა და მისი წარმოშობის მიზეზებს კიდევ ერთხელ შევეხებით.**

შრომის ანაზღაურების უფრო მაღალი განაკვეთისა და, შესაბამისად, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოდან ბოლო წლებში მილიონზე მეტი კაცი რომაა გასული, საყოველთაოდაა ცნობილი. ამასთან, ძალიან ბევრი მათ შორის მეტად მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალია, რომელთა ნაკლებობა ადგილობრივ შრომის ბაზარზე სულ უფრო მეტად საგრძნობი ხდება. ამ მხრივ კი ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს საქმის მცოდნე საშუალო სამედიცინო პერსონალის, კერძოდ, ექთნების მწვავე ნაკლებობა, რომელსაც ამჟამად ჩვენში სხვადასხვა ტიპის კლინიკები განიცდიან.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასული ამ ტიპის სპეციალისტების რიცხვი იმდენად დიდია, რომ ბევრ ადგილობრივ საავადმყოფოში მკურნალობის პროცესის სრულფასოვნად ჩატარება (მათ შორის, სასწრაფო თუ დაგეგმილი ოპერაციებისაც კი!) ხშირად შეუძლებელი ხდება! ასეთი არაბუნებრივი და უკიდურესად საშიში ვითარების უმთავრესი მიზეზი კი **ჩვენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის კლინიკებში ექთნების სახელფასო განაკვეთის — თვეში მინიმუმ 792 ლარი — აშკარა სიმწირეა**. ეს პრობლემა გარკვეულწილად უცხოეთის რიგ ქვეყანაშიცაა. ამიტომაც იქ, გარკვეული მცირედი გადამზადების შემდეგ, სიამოვნებით იღებენ ჩვენგან წასულ, უკვე გარკვეული, თუნდაც მცირედი გამოცდილების მქონე ექთნებს. იქაური შრომის ანაზღაურება კი აქაურს, სულ მცირე, სამჯერ აჭარბებს.



ამასთან, მოსახლეობის რიცხოვნობასთან შედარებით ექიმთა ოდენობა საქართველოში ყოველთვის მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო და ვითარება ამ მხრივ არც ბოლო წლებში შეცვლილა, რაც კლინიკებშიც იგრძნობა. ამასთან, ის აუცილებელი რგოლი, რომელიც ექიმსა და პაციენტს შორის, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში, მკურნალობის პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული, სწორედ ექთანია, რომლებიც ამჟამად კატასტროფულად არ გვყოფნის. ამდენად მათი არასაკმარისი ოდენობა ბევრგან თვით მკურნალობის პროცესს საფრთხეს უქმნის და ერთობ საეჭვოს ხდის.

კვალიფიციური, მზრუნველი და გულიანი ექთნის ფასი ყველამ იცის, ვისაც კი ოდესმე საავადმყოფოსთან, კლინიკასთან რაიმე სახის შეხება ჰქონია. მკურნალობის წარმართვაში ექიმს წამყვანი როლი რომ აქვს, ამას რა მტკიცება უნდა, მაგრამ ისიც ხომ ნაღდია, რომ **ექთნობა — ეს სრულიად დამოუკიდებელი პროფესიაა, რომლის გარეშე მკურნალობის პროცესის სრულფასოვნების უზრუნველყოფა მთლად შეუძლებელი თუ არა, ყოველ შემთხვევაში ძალიან რთული საქმეა.**

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნიდან კვალიფიციური ექთნების გადინების მეტად საგანგაშო პროცესი კვლავაც საკმაოდ ინტენსივობით გრძელდება, სამედიცინო სფეროს ექსპერტების, ჩვენი კლინიცისტების აბსოლუტური **უმრავლესობის აზრით, აუცილებელია მათთვის (და ერთიანად მთელი საშუალო სამედიცინო პერსონალისთვის!) მინიმალური ხელფასის განაკვეთის სასწრაფოდ გაზრდა, რის გარეშე საზოგადოებრივი ჯანდაცვა ახლო მომავალში, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.**

ეს, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი იმ პირველი რიგის გადასაჭრელი საკითხია, რასაც უახლოეს დროში თავი უნდა გაართვას ჯანდაცვის სამინისტრომ.

**ოთარ ტურაბელიძე**

---

**სანთელი**

**თენგიზ, ქეთინო, ქეთი ქავთარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღირსეული ქალბატონის**

## ლალი იროდიონის ასული გუჯაბიძე-ქავთარაძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შვილებს — კოტე, გია, სალომე ქავთარაძეებს.**

---

**სანთელი**

## სიკეთისა და კეთილშობილების განსახიერება

**თბილისის 24-ე საშუალო სკოლის 1970 წლის კურსდამთავრებულები დიდი გულისტკივილით იუწყებიან თანაკლასელის, უკეთილშობილესი პიროვნებისა და საძმოში გამორჩეული კაცის**

## ბესო კაპანაძის

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს, სანათესაოსა და სამეგობროს.**

**ბესო კაპანაძე დაიბადა 1953 წელს. ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ ენერგეტიკის სფეროში განაგრძო მოღვაწეობა. დიდი პროფესიონალი და დამსახურებული პიროვნება მალე იქცა ყველასათვის ერთგულ და უღალატო ადამიანად. იგი გახლდათ შესანიშნავი მეოჯახე, საოცრად თბილი და სიკეთით აღსავსე. მისმა ამქვეყნიდან წასვლამ ყველას საოცრად დაგვწყვიტა გული. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.**

**მისამართი: ქ. თბილისი, სამტრედიის ქ. №4ა, მე-13 სართული, ბინა 71.**

**დაკრძალვა 4 აპრილს, 14 საათზე.**

---

# სალმონელოზით დაავადებული საშაურმე დაკეტეს!

**თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე საშაურმე OK-ს საწარმოო პროცესი შეუჩერდა — მიზეზი სალმონელოზის დადასტურებული შემთხვევაა,** — ამის შესახებ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

**„სურსათის ეროვნულმა სააგენტომ თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრიდან მიიღო შეტყობინება სალმონელოზის დადასტურებული შემთხვევის შესახებ. ეპიდანამნეზის თანახმად, პაციენტს საკვებად მიღებული აქვს შაურმა, რომელიც შეიძინა საშაურმე „OK"-ში (წერეთლის გამზირი 22). ლაბორატორიული კვლევის შედეგად შაურმასა და შაურმისთვის განკუთვნილ შემწვარ ღორის ხორცში აღმოჩენილია პათოგენური მიკროორგანიზმი — Salmonela, ასევე Proteus app (პროტეუსის ბაქტერია), კოლიფორმები, აერობული მიკროორგანიზმები და ობის სოკოები.**

**შპს „მადლს" კრიტიკული შეუსაბამობების გამო შეუჩერდა საწარმოო პროცესი და დაჯარიმდა კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე დაევალა გენერალური რეცხვა-დეზინფექციის ჩატარება, ინვენტარის ზედაპირებიდან ნიმუშების აღება და მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა",** — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# 2023 წელს სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაიზარდა!

**სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამოძიების სტატისტიკური მონაცემებით, 2023 წელს სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 2022 წელთან შედარებით გაზრდილია.**

სამსახურის ინფორმაციით, ქვეყანაში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის მიზანსა და მისიას სწორედ საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი ძალადობრივი და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დროული და ეფექტიანი გამოძიება წარმოადგენდა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 31 მარტს საქართველოს პარლამენტს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია 2023 წელს უწყების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიშში, მათ შორის, ასახულია სამართალდამცავების, საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის და ძალადობრივი დანაშაულების გამოვლენის და გახსნის მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს, როგორც პროკურატურის მიერ დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას, ასევე განრიდებას და საქმის შეწყვეტას.

კერძოდ, 2022 წელს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ზემოხსენებული კატეგორიის დანაშაულზე გამოძიება სულ 291 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო, ხოლო 81 სისხლის სამართლის საქმე გაიხსნა, გახსნის პროცენტული მაჩვენებელია — 28%. 2023 წელს გამოძიება სულ 336 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო, ხოლო 118 სისხლის სამართლის საქმე გაიხსნა, გახსნის პროცენტული მაჩვენებელია — 35%.

# მაინც, რატომ გაიმეტა ცოლმა ქმარი მოსაკლავად?!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის და სამტრედიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ნ.ხ., ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. ინფორმაციას შს სამინისტრო ავრცელებს.**

უწყების ცნობით, დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 2 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ყოფით ნიადაგზე არსებული კონფლიქტის შედეგად, მეუღლე — 1987 წელს დაბადებულ მ.გ. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა. დაჭრილი მამაკაცი მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პოლიციამ ნ.ხ. ცხელ კვალზე დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის „კ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს",** — ნათქვამია ინფორმაციაში.

# სამხედრო პოლიციელი ცოლს ცემა-ტყეპით დაემუქრა!

**სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ, მუქარის ფაქტზე, დაკავებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი ი.მ.**

გამოძიებით დადგინდა, რომ 2024 წლის 23 თებერვალს, ბრალდებული აზარტულ თამაშებში თანხის წაგების შემდეგ, საღამოს საათებში სახლში დაბრუნდა, ცოლს ეჩხუბა და მას სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. აღნიშნულის შემდეგ ბრალდებული კვლავ აგრძელებდა მეუღლის მიმართ მუქარას. მიმდინარე წლის მარტში, საყოფაცხოვრებო საკითხებზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს, იგი მეუღლეს ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა როგორც უშუალოდ, ასევე მოკლეტექსტური შეტყობინებით. დაზარალებულს ყველა შემთხვევაში მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში გაუჩნდა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებული ქალის მომართვის შემდეგ, გამოძიება მყისიერად დაიწყო და პროკურატურასთან თანამშრომლობით სამართალდამცავის დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებები მოიპოვა, რის შემდეგაც სასამართლოს განჩინების საფუძველზე იგი დააკავეს. სამხედრო პოლიციელს ბრალდება 48 საათში წარედგინება. დანაშაული 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქმეზე გამოძიებას აგრძელებს.

# „მოგზაურობა ლონდონიდან თბილისამდე“

**მოგზაურმა ინფლუენსერმა კარლ ვოთსონმა საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ Youtube-ზე დოკუმენტური ფილმი მოამზადა.**

კარლ ვოთსონმა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, საერთაშორისო ციფრული კონფერენციის TRAVERSE ფარგლებში იმოგზაურა.

**„დოკუმენტური ფილმი რამდენიმე ეპიზოდისგან შედგება და ნაჩვენებია კარლ ვოთსონის მოგზაურობა ლონდონიდან თბილისამდე. ფილმში ნაჩვენებია თბილისის ისტორიული უბნები, ეკლესიები, კვების ობიექტები, ქართული კერძები, ღვინო, ასევე TRAVERSE-ის ფარგლებში თბილისში გამართული კონფერენცია, რომელსაც 180-მდე ინფლუენსერი ეწვია დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. კარლ ვოთსონმა Youtube-ის მომხმარებელს გააცნო გუდაური, სამთო კურორტის ინფრასტრუქტურა, დაბა სტეფანწმინდა და გერგეტის სამება.**




**ციფრული კონფერენცია TRAVERSE თბილისში იანვრის ბოლოს და თებერვლის დასაწყისში გაიმართა. ინფლუენსერებმა საქართველოს შესახებ ბლოგები, პოსტები, სთორები და ვიდეორგოლები მოამზადეს.**



# „ჯადოსნური ეკრანი – ამბები ქართული ანიმაციიდან“

**„ჯადოსნური ეკრანი – ამბები ქართული ანიმაციიდან“ – კიდევ ერთი დროში მოგზაურობა ნიკოლოზ წულუკიძესთან ერთად.**

გუშინ, 3 აპრილს რუსთაველის თეატრში მაყურებელმა თითქმის საუკუნოვანი ქართული მულტიპლიკაციის ისტორიის საინტერესო ფრაგმენტები და სხვადასხვა დროს, ქართული ნახატი ფილმებისთვის შექმნილი სიმღერები ცნობილი სოლისტებისა და კვარტეტების შესრულებით მოისმინა. პროექტის მხარდამჭერები კულტურის სამინისტრო და თბილისის მერია იყვნენ.

# ქართული ხინკლის აღიარება



**CNN-მა მსოფლიოს საუკეთესო გულსართიანი ცომეული გამოავლინა, რომელთა შორის ქართული ხინკალიც მოხვდა.** გავლენიანმა გამოცემამ 34 ქვეყნის საუკეთესო „დამპლინგი“ გამოაქვეყნა.

**„ხინკალი მზადდება ნაკეცებით მოხვეულ ცომში საქონლისა და ღორის ხორცის მოთავსებით. როგორც წესი, მას მსხვილად დაფქულ შავ პილპილთან ერთად მიირთმევენ. გასაკვირი არ არის, რომ აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ცენტრალური აზიის გზაგასაყარზე, საქართველოს საკუთარი პროდუქტი აქვს“,** – წერს გამოცემა. ხინკალთან ერთად რეიტინგში იტალიური რავიოლი, ჩინური სიომაი, რუსული პელმენი და სხვა ქვეყნის გულსართიანი ცომეული მოხვდა.

# ნუ იპარავთ ბაიდენის ნივთებს!

**ამერიკელ ჟურნალისტებს მოუწოდებენ, შეერთებული შტატების პრეზიდენტის თვითმფრინავიდან სუვენირების მოპარვა შეწყვიტონ.**

„ბორტი ნომერი 1“-ის ინვენტარიზაციის შედეგად გაირკვა, რომ საპრეზიდენტო თვითმფრინავში, პრესისთვის გამოყოფილი სივრციდან, დაკარგულია ბრენდირებული ნივთები, მათ შორის ბალიშის პირები, ჭიქები და მოოქროვილი თეფშები. თეთრი სახლის კორესპონდენტთა ასოციაციამ ჟურნალისტები გააფრთხილა, რომ „ბორტი ნომერი 1-იდან“ ნივთების წაღება აკრძალულია და უარყოფითად აისახება იმ ჟურნალისტთა რეპუტაციაზე, ვინც პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან ერთად მგზავრობს.




# ბეთჰოვენის გენებით თუ ვიმსჯელებთ...

**გერმანელ კომპოზიტორს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს მუსიკალურობისადმი დაბალი გენეტიკური მიდრეკილება ჰქონდა – ასეთ დასკვნამდე კანადელი, ნიდერლანდელი, შვედი და ამერიკელი მეცნიერები კომპოზიტორის დნმ-ის შესწავლის შემდეგ მივიდნენ.**



დნმ-ის ანალიზის მეშვეობით მეცნიერებმა პოლიგენური მაჩვენებელი (PGI) გამოავლინეს, რომელიც ადამიანის გენების სავარაუდო გამოვლენას აფასებს და დაასკვნეს, რომ თანამედროვე ადამიანებთან შედარებით, ბეთჰოვენის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალი იყო. კერძოდ, კვლევაში მონაწილე ადამიანების 90%-ს მუსიკისადმი მეტი მიდრეკილება ჰქონდა, ვიდრე დიდ კომპოზიტორს. მეცნიერები აზუსტებენ, რომ გენეტიკური ანალიზის მიხედვით, ბეთჰოვენს არ ჰქონდა რითმების სინქრონიზაციის არსებითი ბუნებრივი უნარი, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მუსიკალური უნარების განვითარებაზე. კვლევის ავტორები დარწმუნებულები არიან, რომ მათი ნამუშევარი ასეთი მიდგომის პრობლემებს ააშკარავებს.

**„ჩვენი მიზანი იყო ამ მაგალითზე გვეჩვენებინა გენეტიკური პროგნოზების შედგენასთან დაკავშირებული პრობლემები. შეუსაბამობა დნმ-ის ანალიზზე დაყრდნობით გაკეთებულ პროგნოზსა და ბეთჰოვენის მუსიკალურ გენიას შორის მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც ბევრ რამეს გვასწავლის. ეს გვაჩვენებს, რომ გენეტიკურ ტესტებს არ შეუძლია საბოლოო პასუხი მოგვცენ კითხვაზე რამდენად ნიჭიერი აღმოჩნდება ადამიანი“,** – განაცხადა კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა ტარა ჰენეჰოვიჩმა. მეცნიერები ბეთჰოვენის დნმ-ს პირველად არ იკვლევენ. 2023 წლის მარტში მათ კომპოზიტორის გარდაცვალების სავარაუდო მიზეზის დადგენა სცადეს.

# ფულით ძლიერნი ამა ქვეყნისანი

**ჟურნალმა Forbes მილიარდერთა ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა. პირველ ადგილს კი რეიტინგში ფრანგი ბიზნესმენი ბერნარ არნო იკავებს, რომლის ქონებაც 223 მილიარდ დოლარად ფასდება. არნოს და მის ოჯახს ეკუთვნის ჰოლდინგი LVMH, რომელშიც ფუფუნების საგნების მწარმოებელი კომპანიები არიან გაერთიანებულები.**



მეორე ადგილზეა Tesla-სა და Space X-ს დამფუძნებელი და სოციალური ქსელის X მფლობელი ილონ მასკი ($195 მილიარდი), მესამეზეა Amazon-ის დამფუძნებელი ჯეფ ბეზოსი ($194 მილიარდი).

სიაში პირველად მოხვდა ამერიკელი მომღერალი ტეილორ სვიფტი (1,1 მილიარდი), რეიტინგში ასევეა ChatGPT-ს შემქმნელი სემ ალტმანი (1 მილიარდი). Forbes-ის მონაცემებით, 2024 წელს მილიარდერების რაოდენობა მსოფლიოში რეკორდულ 2 781-ს აღწევს. ეს 141-ით მეტია, ვიდრე შარშან და 26-ით მეტი, ვიდრე 2021 წელს, როდესაც წინა რეკორდი დამყარდა. Forbes-ი აღნიშნავს, რომ მსოფლიო ელიტა ისეთი მდიდარია, როგორც არასოდეს და მისი კოლექტიური ქონება 14,2 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 5 აპრილს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6840; ევრო - 2.8912;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3751;
100 რუბლი - 2.9013; თურქული ლირა - 0.0833;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5784;
1000 სომხური დრამი - 6.8569

**ამინდი 4 აპრილისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე +22 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +6, | დღე +22 |
| თბილისი: | ღამე | +12, | დღე +22 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge